საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 21 ნოემბერი. 2019 წ. №230 (8896) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„პოლიქრონიონ“! „პოლიქრონიონ“!

მაჟორიტარებსაც და პროპორციულებსაც საზოგადოება, ჩვენი ხალხი უნდა აკონტროლებდეს!

③

ვის რას უშავებენ მაჟორიტარები?

ირაკლი ღარიბაშვილმა ატლანტაში ოგლეტორპის ჯილდო მიიღო

აშშ-ში, ატლანტაში გამართულ საქართველოსა და ჯორჯიის შტატის ეროვნულ გვარდიებს შორის 25-წლიანი პარტნიორობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ოგლეტორპის ჯილდო გადაეცა. ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ჯეიმს ედვარდ ოგლეტორპის სახელობის ჯილდო თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირმა გამორჩეული სამსახურისთვის და საქართველოსა და აშშ-ს შორის ხანგრძლივი და მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო.

საქართველოსა და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნულ გვარდიებს შორის პარტნიორობის 25 წლის იუბილე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ატლანტაში ვიზიტის ფარგლებში აღინიშნა. ღონისძიება ეროვნული გვარდიის შტაბბინაში გაიმართა, რომელიც საქართველოსა და აშშ-ის ეროვნული ჰიმნებით გაიხსნა. სტუმრებს ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის მეთაური, გენერალ-მაიორი ტომას კარდენი მიესალმა და თანამშრომლობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

წესით ხალხი უნდა მივიდეს პარლამენტის წინ, გასკვანჩოს ის „გაერთიანებული ოპოზიცია“ და სანამ იმ მაჟუთს, რაც ბიუჯეტიდან აქვთ აღებული ამ წლების განმავლობაში და რის აღებასაც აპირებენ, თეთრ-თეთრ არ მოიტანენ, „შმუთვა“, შიმშილი და ყველაზე მძიმე ფიზიკური სამუშაოები არ უნდა მოაკლო...



„გაერთიანებული ოპოზიცია“ ხალხმა უნდა გასკვანჩოს!

④

„ვერ მიართვეს“...

უკრაინის უზენაესმა სასამართლომ კანონიერად ცნო სამართალდამცავი ორგანოების, მესაზღვრეების ქმედებები, რომლებმაც 2018 წლის თებერვალში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში გააძევეს. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული მედია უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

„უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მიხეილ სააკაშვილის საკასაციო საჩივარი სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ადმინისტრაციის, სახელმწიფო მიგრაციული სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ მოსარჩელის პოლონეთის რესპუბლიკაში რეადმისიის უკანონოდ აღიარებისა და გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ“, — ნათქვამია უკრაინის უზენაესი სასამართლოს პრესსამსახურის განცხადებაში. მიხეილ სააკაშვილი რეადმისიის ფარგლებში უკრაინიდან პოლონეთში 2018 წლის 12 თებერვალს გააძევეს. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი მიგრაციული და სასაზღვრო სამსახურებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებების უკანონოდ აღიარებას ითხოვდა.

6 მიზეზი, რის გამოც მოსახლეობა ოპოზიციასთან არ თანამშრომლობს

⑤ ⑥

საიდან იწყება პოლიტიკური ქაოსი?!

ჭრებალოს ახალი საზოგადოებრივი ცენტრი ექნება

ვიცეპრემიერმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალოში მშენებარე საზოგადოებრივი ცენტრი დაათვალიერა და მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო. იუსტიციის მინისტრთან ერთად იმყოფებოდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ სანიკიძე და იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა სსიპების ხელმძღვანელები.

ცენტრი ჭრებალოსა და მიმდებარე სოფლების — ზედა და ქვედა ჭყვიშის, პირველი და მეორე ტოლის, ქვიშარის, ჟოშხის, გენდუშის, პატარაონის, შავრის, ბაჯის, ღადიშის, ღვარდიის — და სხვა დასახლებების 5 000-მდე მოსახლეს მოემსახურება.

ცენტრის გახსნის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობა ადგილიდან გაუსვლელად შეძლებს სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი მომსახურების ერთი ფანჯრის პრინციპით კომფორტულ გარემოში სწრაფად მიღებას. ცენტრში ხელმისაწვდომი იქნება „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაც, რაც პენსიონერებს — სოფლიდან გაუსვლელად პენსიის მიღების, ახალგაზრდებს კი უკაბელო ინტერნეტით უფასოდ სარგებლობის საშუალებას მისცემს. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად სტუმრებიც ისარგებლებენ ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურებით, მობილური ოპერატორის საშუალებით სამყაროსთან 24-საათიანი კავშირით, უკაბელო ინტერნეტითა და უფასო სკაიპის ოთახით.

საზოგადოებრივ ცენტრში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა განთავსდება. ელექტრონულ წიგნებთან ერთად, აქ ბეჭდური გამოცემებიც იქნება დაცული. ცენტრში მოეწყობა საკონფერენციო დარბაზი, სადაც მოსახლეობა სხვადასხვა ტიპის შეხვედრების გამართვას შეძლებს. საზოგადოებრივ ცენტრებში განთავსდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მისაღები ოთახებიც.

„ვაჟა გაფრინდაშვილთან ერთად ვმკურნალობდი რუს ტყვეებს“

ქირურგი-ორთოპედი ლევან ნაჭყებია იხსენებს 2008 წლის აგვისტოს ომისდროინდელ მოვლენებს და აცხადებს, რომ ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი იმ დროს თბილისში ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში იმყოფებოდა და ეთნიკური ნიშნის მიუხედავად მკურნალობდა პაციენტებს.

„დასტურად იმისა, რომ ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი საავადმყოფოში იმყოფებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, არის ის ფაქტიც, რომ 2 რუს მფრინავს ვიაჩესლავ მალკოვს და იგორ ზინოვს, რომლებიც ქართული ქალაქების დაბომბვის შემდეგ ჩამოაგდო ქართულმა მხარემ, ვაჟა გაფრინდაშვილთან ერთად ვმკურნალობდი, ეს მფრინავები წითელი ჯვრისა და შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით გადასცეს რუსეთს“, — განაცხადა „რადიო თავისუფლებასთან“ საუბრისას ლევან ნაჭყებიამ.

სამხედრო მფრინავები მაიორი იგორ ზინოვი და პოლკოვნიკი ვიაჩესლავ მალკოვი ტყვედ 2008 წლის 9 აგვისტოს ჩავარდნენ მას შემდეგ, რაც მათი საფრენი ბომბდამშენები ქართულმა ჰაერსაწინააღმდეგო დაცვამ ცხინვალის მისადგომებთან ჩამოაგდო. ისინი 19 აგვისტოს მდინარე ლეხურას ხიდზე გადასცეს რუსულ მხარეს.

ოკუპირებული ცხინვალის საპატიმროში უკანონოდ მყოფი ექიმის ვაჟა გარინდაშვილის ოჯახი კატეგორიულად უარყოფს და სიცრუეს უწოდებს დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „ვაჟა გაფრინდაშვილი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-სამედიცინო სამსახურის თადარიგის კაპიტანია და როგორც სამხედრო ექიმი, აქტიურად მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში“.

ოკუპანტებმა თბილისელი ექიმი-ტრავმატოლოგი ვაჟა გაფრინდაშვილი 9 ნოემბერს, ახალგორის ოკუპირებულ რაიონთან დააკავეს ე.წ. საზღვრის დარღვევისთვის. როგორც წესი, ამ ბრალდებით დაკავებულ მოქალაქეებს ჯარიმის სანაცვლოდ ათავისუფლებენ, თუმცა, ვაჟა გაფრინდაშვილს ბრალი წაუყენეს ე.წ. საზღვრის განზრახ დარღვევისთვის, რაც დე ფაქტო კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. ვაჟა გაფრინდაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

ცხინვალის საპატიმროდან ექიმის გასათავისუფლებლად მუშაობენ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ამოქმედებულია არაფორმალური კავშირებიც. ეს საკითხი გუშინ განიხილეს ოკუპირებულ ცხინვალში ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეების და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრებზეც.

ოპოზიცია დაბოქლომებაზეა გადასული

ოპოზიციის **წარმომადგენლებმა პროკურატურის ჭიშკარს სიმბოლურად ბოქლომი დაადეს.**

მანამდე, მცირე სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს შორის.

„მალხაზ მაჩალიკაშვილი, რომელიც აქ დგას, სამი წელია, ეძებს სამართალს. ამათ ხელში სამართალი ვერ იპოვა. ეს ის ხალხია, რომლებიც უმოწყალოდ წირავენ ადამიანებს. გუშინ რურუას ჩაუდეს იარაღი, გუშინ ოქრუაშვილს 15 წლისწინანდელი, ვითომ დანაშაული გაუხსენეს და საქმე აღუძრეს. მაქსიმალურ ტერორზე არიან გადასული. უნდათ, რომ შეგვაშინონ, მაგრამ ვერ შეგვაშინებენ. დავაბოქლომებთ, მაინც ამოვთხრით, ჩვენ ჩვენს შედეგს მივიღებთ. სანამ ივანიშვილი იქნება ხელისუფლებაში, მიიღებს ამას. ამ ბიჭებსაც ამოუვათ ყელში, გაიხდიან ფორმას, ჩვენ მხარეს გადმოვლენ და შემდეგ ვნახოთ, ამათ ვინ დაიცავთ“, — განაცხადა გენერალურ პროკურატურასთან ირაკლი ოქრუაშვილის პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ წევრმა გურამ ჩალაგაშვილმა.

რუსულმა ავიაკომპანიებმა სამ მილიარდ რუბლზე მეტი დაკარგეს

საქართველოში ფრენების აკრძალვის გამო, რუსულმა ავიაკომპანიებმა სამ მილიარდ რუბლზე მეტი დაკარგეს. ამის შესახებ „ვედომოსტი“ იუწყება.

რუსული გამოცემა „ვედემოსტის“ ცნობით, ყველაზე მეტად „ურალის ავიახაზებმა“ იზარალა. ავიაკომპანიის ზარალი მილიარდ რუბლს აღემატება. აღნიშნულ ინფორმაციას რუსული გამოცემა „ავიაკომპანიების“ თანამშრომლების მიერ მიწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით ავრცელებს.

„ვედომოსტის“ ინფორმაციით, „აეროფლოტის“ და „ეს7-ის“ იგივე „ციმბირის ავიახაზების“ ზარალი 700 მილიონ რუბლს აღემატება. რაც შეეხება „პობედას“ და „რედ ვინგს“, მათი ზარალი 400 მილიონს და 120 მილიონ რუბლს აღწევს.

„ვედომოსტის“ ინფორმაციით, ავიაკომპანიებმა აღნიშნული მონაცემები რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროს გადასცეს, რათა კომპენსაცია მიიღონ, რაც სამინისტრომ აკრძალვის ამოქმედებამდე დაჰპირდა. თუმცა როგორც ცნობილია, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო მხოლოდ პირდაპირი ზარალის ანაზღაურებას აპირებს.

ნნელისში ქართული საგუშაგო ეკალია, რომელიც მთელ რესპუბლიკას აყენებს ტკივილს

„ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა სოფელ წნელისთან ქართული საგუშაგო შეადარა ეკალს, რომელიც მთელ რესპუბლიკას აყენებს ტკივილს“, — ამის შესახებ ბიბილოვმა ცხინვალში ჟენევის თანათავმჯდომარეებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

ანატოლი ბიბილოვის განცხადებით, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ ჟენევის მოლაპარაკებებზე ყველა ის დოკუმენტი წარადგინა, რომლითაც ცხინვალის რეგიონის, როგორც „რესპუბლიკის საზღვრები დგინდება“.

ბიბილოვის თქმით, ერთი რეგიონის პრობლემები „მთელ რესპუბლიკაზე“ აისახება.

„საქართველოს პოლიციის მიერ უკანონოდ აღმართული ბლოგპოსტის გამო იძულებული გავხდით, საპასუხო ზომები მიგვეღო“, — თქვა ბიბილოვმა და დასძინა, რომ ამის მიზანი დე ფაქტო სახელმწიფო საზღვრის გაძლიერება და იქ მცხოვრები პირების უსაფრთხოების დაცვაა. ბიბილოვმა თქვა, რომ ოფიციალური თბილისი ამ პრობლემის გადაჭრისთვის მზად არის და ქართული მხარე პროვოკაციების მოწყობაში დაადანაშაულა. ბიბილოვის თქმით, არსებული პრობლემის მოგვარების „გასაღები იმაშია, რომ ქართულმა მხარემ გააცნობიეროს, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელია“.

აკაკი ზოიძე: ექიმები მზად ვართ, ვაჟა გაფრინდაშვილს ჩავენაცვლოთ!

ექიმების ინიციატივაა, რომ ვაჟა გაფრინდაშვილის მაგივრად თითო კვირით დაიკავონ მისი ადგილი სეპარატისტული ხელისუფლების მძევლად — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა აკაკი ზოიძემ საოკუპაციო რეჟიმის წამომადგენლების მიერ ვაჟა გაფრინდაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, დაკავებული ექიმის გასათავისუფლებლად ყველანაირი არხებით ხდება ზეწოლა. ეუთოს გენერალური მდივანი იმედოვნებს, რომ ვაჟა გაფრინდაშვილს მალე გაათავისუფლებენ. გაეროსა და ეუთოს მხრიდან ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებმა თავის მხრივ, აღნიშნეს, რომ ისინი ყველა ღონეს გამოიყენებენ და გააგრძელებენ აქტიურ მუშაობას ადგილზე დაძაბულობის განმუხტვისა და შექმნილი ვითარების გადაჭრისათვის. თავის მხრივ, ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს მხრიდან თანათავმჯდომარეებმა აღნიშნეს, რომ ისინი ყველა ღონეს ხმარობენ და გააგრძელებენ აქტიურ მუშაობას ადგილზე ვითარების განსამუხტად და პრობლემის გადასაჭრელად.

ვის რას უშავებენ მაჟორიტარები?

მაჟორიტარებსაც და პროპორციულებსაც საზოგადოება, ჩვენი ხალხი უნდა აკონტროლებდეს!

საქართველოს „მესიებმა“ თუ „აღმაშენებლებმა“ ქვეყნის გადარჩენისა და აყვავების ახალი უტყუარი მეთოდი იპოვეს - ეს თურმე მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაა!

თუმცა, კონკრეტულად რით და როგორ აკნინებენ საქართველოს განვითარებას მაინცდამაინც მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატები — ამის განმარტებით თავს არავინ იკლავს.

ერთადერთი „ლოგიკური“ არგუმენტი, რომელიც პროპორციული სისტემის აპოლოგეტებმა წარმოადგინეს, — ასე ჟღერს: — „მაჟორიტარები გადაიქცნენ ადგილობრივ ფეოდალებად, რომლებიც პარაზიტობის მეტს არაფერს აკეთებენ“... და ამ სიტყვებს ისეთი რიხით ამბობენ, თითქოს პროპორციული წესით არჩეული დეპუტატები მხოლოდ სახალხო დემოკრატიის დამყარებისთვის იკლავდნენ თავს!

ძალიან ბევრი ადამიანი ისე აჰყვა ამ ისტერიას — არც კი იცის, თუ რით განსხვავდება მაჟორიტარი დეპუტატი პროპორციულისგან, რადგან მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა რომელიმე პარტიის სახელით იყრის კენჭს.

მართლაცდა, რა მნიშვნელობა აქვს, რა წესით იქნება არჩეული დეპუტატი, თუ ის მაინც რომელიმე პარტიის აპოლოგეტი იქნება?!

ზოგადად დიდი არაფერი სხვაობაა, მაგრამ პრაქტიკაში მაჟორიტარული სისტემა საკმაოდ დიდ დისკომფორტს უქმნის პარტაქტივებს და არა ხალხს!

მაჟორიტარი დეპუტატის რეალური დანიშნულება ხომ ის არის, რომ მან წარმოადგინოს საერთო-სახალხო და ეროვნული ინტერესები პარლამენტში?

როგორც ცნობილია, სხვადასხვა პარტიული ჯგუფები ცდილობენ, რომ თავიანთი ვიწრო ჯგუფური ინტერესები დაიკმაყოფილონ. მემარჯვენეები ცდილობენ, შეამცირონ გადასახადები და ხელფასები, მემარცხენეები კი პირიქით — ცდილობენ, გაუზარდონ გადასახადები მესაკუთრეებს და ამ სახსრებით სოციალური პროგრამები დააფინანსონ.

საქართველოში კი ნებისმიერი პარტია ცდილობს, გახდეს უბრალოდ ბიუროკრატიული პარაზიტების ჯგუფი!!!

ასეთი გაწევ-გამოწევა და ქვეყნის სიმდიდრის მიტაცების ჯგუფურ-პარტიული მცდელობები იწვევენ ქაოსს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დისბალანსებს, რაც საბოლოო ჯამში ყველას აზარალებს — მემარჯვენეებსაც, მემარცხენეებსაც, ცენტრისტებსაც და პერიფერისტებსაც...

შესაბამისად, საჭიროა პოლიტიკურად ნეიტრალური და ისეთი ზეპარტიული ძალა, რომელიც აღნიშნულ პარტიულ გაწამაწიას გარკვეულ ფარგლებში მოაქცევს და არ მისცემს მას საშუალებას, კრიზისამდე მიიყვანონ ქვეყანა.

ასეთ „მომგვარებელ“ ძალას უნდა წარმოადგენდეს მაჟორიტარ დეპუტატთა ერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი რომელიმე პარტიის სახელით იყრის კენჭს. მათ, როგორც წესი, ხომ მოსახლეობა მხარს უჭერს როგორც ღირსეულ პიროვნებებს და არა როგორც რომელიმე პარტიის ლიდერისადმი „პოლიქრონიონის“ მომღერლებს?!

ამრიგად, რეგიონალურ ამომრჩეველს აქვს იმედი, რომ კრიტიკულ მომენტებში მაჟორიტარი დეპუტატი საერთო-სახალხო ინტერესებს პარტიულ ინტერესებზე მაღლა დააყენებს და არ მისცემს უფლებას, თუნდაც საკუთარ პარტიას, რომ ქვეყანა გაძარცვოს ან დაანგრიოს!

თუმცა, საქართველოში ყველა კეთილშობილი იდეის „გატრიზავება“ ხდება.

პოლიტიკური პარტიები ცდილობენ, რომ მათ მაჟორიტარი დეპუტატებიც მიიტაცონ. ამისთვის კი ბევრი „შრომაა“ საჭირო — ჯერ უნდა იპოვონ ისეთი ავტორიტეტული პიროვნება, ვისაც ხალხი იცნობს და პატივს სცემს, შემდეგ მას უნდა ეფოფინონ (ეხვეწონ), რომ მათ დაუჭიროს მხარი და შემდეგ საკმაოდ ბევრი ფული დახარჯოს მის საარჩევნო კომპანიაზე. მეტიც, მისი პირადი კაპრიზების დაკმაყოფილებაზე.

უფრო ადვილი არ არის პარტაქტივებისთვის, რომ რომელიმე ქარიზმატულ ლიდერს აეკიდონ, რომელსაც ხალხი ხან „მესიად“ მიიჩნევს, ხან „წმინდა გიორგის რაინდად“ და მას ჯგროდ შეჰყვნენ პარლამენტში?

ამ უსახო და უპიროვნო პარტაქტივის წევრებს არც ავტორიტეტი სჭირდებათ, არც ხალხში ელემენტარული ცნობადობაც კი — მთავარია, რომ რომელიმე „გიორგი ბრწყინვალის“ განმადიდებელნი და მის სახელზე „პოლიქრონიონის“ მომღერალნი იყვნენ ენის გადაქლეთვამდე.

აღარ იქნება საჭირო ადგილობრივი, რაიონული მასშტაბის „კოლორიტებისადმი“ ლაქუცი და ფინანსური „მაღარიჩები“ — არიქა, მაჟორიტარ დეპუტატად დაგვიდექი და რეგიონალური „გიორგი ბრწყინვალის“ როლი შეგვისრულეო.

ამრიგად, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ითხოვს არა ხალხი, არამედ, პარტიული სიების მეორე ეშელონის ის აქტივისტები, რომლებსაც არა აქვთ შანსი, რომ თავიანთ რაიონებში „კოლორიტები“ გახდნენ და ხალხის პატივისცემა დაიმსახურონ.

რას უშავებენ მაჟორიტარი დეპუტატები თვითონ ხალხს? თუ ვინმეს ჰკითხავ — მხოლოდ დადებით ამბავს თუ გაიხსენებენ, რომ დეპუტატი მას რამე პრობლემის გადაჭრაში დაეხმარა.

მაგალითად, ერთი ბიზნესმენი წერდა, რომ ის სიკვდილს ერთ-ერთმა მაჟორიტარმა დეპუტატმა გადაარჩინა, რადგან მისი საპარლამენტო კონტროლის გარეშე პოლიცია არ იძიებდა ამ ბიზნესმენისადმი მუქარისა და გამოძალვის ფაქტებს!

თვითონ დეპუტატებს არა აქვთ არანაირი იურიდიული თუ ფაქტიური ბერკეტი, რომ ხალხს ფული გამოსძალონ, თორემ ბევრი მაჟორიტარი ნამდვილად ისარგებლებდა ამ შესაძლებლობით და მართლა დაუკარგავდა ავტორიტეტს თავის სტატუსს.

ამდენად, თვითონ ამომრჩევლებს არა აქვთ არანაირი საფუძველი; რომ უკმაყოფილო იყვნენ მაინცდამაინც მხოლოდ მაჟორიტარი დეპუტატებით, რადგან ისინიც ზუსტად ისეთივე „უსაქმურები“ და „პარაზიტები“ არიან, როგორც პარტიული სიით არჩეული სხვა დეპუტატები.

ისე, სადაც გამართული საარჩევნო სისტემა და საარჩევნო გარემოა, მაჟორიტარი დეპუტატი ზუსტად ისეთი წარმომადგენელია, რომელსაც უშუალოდ ირჩევს ამომრჩეველი მისი პიროვნული თვისებების საფუძველზე.

პროპორციული დეპუტატების არჩევის უფლებას კი იმ პარტიის ლიდერს ანდობს, რომლის პროგრამა და მმართველობითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად ხიბლავს.

ამრიგად, მაჟორიტარი დეპუტატი დემოკრატიის უშუალო განმახორციელებელია, საქართველოს „გადამრჩენები“ კი ამტკიცებენ, რომ მაჟორიტარული სისტემის არგაუქმებით ხელისუფლება ხალხს არჩევანის უფლებას ართმევსო!

არადა, მაჟორიტარი დეპუტატი უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს ხალხის მიმართ, რადგან ის იძულებულია, იმ თავის პირად ავტორიტეტს მოუფრთხილდეს, რის საფუძველზეც ის აირჩიეს.

პარტიულ სიაში მე-20 ნომრად განთესილ ვინმე იაკინთე ქიბროწაშვილს კი საკუთარი პირადი ავტორიტეტი არც აქვს, რომ მოუფრთხილდეს — ის უბრალოდ პარტიის ლიდერის ყურმოჭრილი მონაა და არა ხალხის.

მაჟორიტარ დეპუტატს შეუძლია, რომ დაუპირისპირდეს პარტიის ლიდერს და გააპროტესტოს მისი მავნებლური მოქმედებები, რადგან მისი სტატუსი მის პირად ავტორიტეტს ეფუძნება და არა პარტიის ლიდერის კეთილგანწყობას. შესაბამისად, მაჟორიტარი დეპუტატების ერთობა — ეს არის ყველაზე ქმედითუნარიანი ძალა პარტიის ლიდერის და მისი დამქაშების დიქტატურის წინააღმდეგ.

ამრიგად, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოში არსებულ პარტიული პარაზიტიზმის და ხლისტური ავტორიტარიზმის სისტემას, რადგან უსახო და უპიროვნო პარტაქტივების ჯოგებს არ ეყოლებათ ღირსეული საპირწონე არც პარლამენტში და არც ზოგადად პოლიტიკურ სისტემაში.

შესაბამისად, ქართველი ხალხი რომ პოლიტიკურად შეგნებული იყოს, გაიძვერა პარტაქტივებს კი არ დაუჭერდა მხარს, არამედ, პირიქით, მასობრივი მიტინგებით მოითხოვდა მაჟორიტარული სისტემის კიდევ უფრო დახვეწას და გაძლიერებას!

კონკრეტულად — მოითხოვდნენ, რომ მაჟორიტარი დეპუტატი მომავალში არ იყოს რომელიმე პარტიის წევრი.

რა ხდება სინამდვილეში?

სამწუხაროდ, ქართველი ხალხის უმრავლესობა მხარს უჭერს არა რომელიმე იდეას, ან ელემენტარულად საღ აზრს, არამედ, ისეთ ქარიზმატული „ლიდერის“ ომახიან ლოზუნგებს, რომელიც ყველაზე მეტ ისტერიკას ქმნის.

მთავარია, რომ ლოზუნგი ითვალისწინებდეს ვინმეს გალანძღვას, გაძარცვას, „ციმბირში გადასახლებას“ და ა.შ. და მხარდამჭერების მთელი არმია ყოველთვის მზად არის, რომ ინდაურების ჯოგივით აჰყვეს ახალი „მესიის“ თუ „აღმაშენებლის“ გინებას და წყევლა-კრულვას...

არადა, არც კი აკვირდებიან, რამდენად აზრიანია და არსებითია ქარიზმატული არქიფოს მიერ წამოსროლილი ლოზუნგები.

მაგალითად, არსებული არეულობის ძირითადი ლაიტმოტივია ის აზრი, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი დასაყრდენი არის მაჟორიტარი დეპუტატების კორპუსი, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა რეიტინგი და 2020 წლის არჩევნებში ეს პარტია უმრავლესობით ვერ მოვა. თუ შერეული სისტემა დარჩება, მაჟორიტარები ისევ პირადად ივანიშვილს დაუჭერენ მხარს, რითაც დააკნინებენ ხალხის რჩეული სხვა პარტიების გავლენას.

პირიქით კი მოხდა — ზუსტად მაჟორიტარმა დეპუტატებმა არ მისცეს საშუალება ბიძინა ივანიშვილს, რომ მას დანაპირები შეესრულებინა და ამით თავისი პოლიტიკური რეიტინგი აემაღლებინა!

ბევრი ამბობს, რომ ეს დადგმული თამაში იყო, მაგრამ, თუ ბატონ ბიძინას შეუძლია მაჟორიტარი დეპუტატების „ყიდვა“, მაშინ სხვა პატარა პარტიების ყიდვასაც შეძლებს, რომლებიც ნულოვანი ბარიერის შედეგად გავლენ პარლამენტში. და ეს პატარა პარტიები უფრო მეტ დეპუტატებს გაიყვანენ, ვიდრე სახელგადარქმეული თუ მოქმედი „ნაცები“ — მათი რეიტინგებიც ხომ სტაბილურად დაბალ დონეზეა და ამაღლების არანაირი შანსები არ გააჩნიათ!

ასე რომ, არსებული სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალია, რომ ხალხმა თვითონ ისწავლოს თავიანთი დეპუტატების კონტროლი ოლიგარქების თუ გაიძვერა პარტაქტივების ნაცვლად...

არა მხოლოდ მაჟორიტარები, თვით პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებიც უნდა კონტროლდებოდეს საზოგადოების მიერ.

კობა ბიწაძე,
ანალიტიკოსი

„გაერთიანებული ოპოზიცია“ ხალხმა უნდა გასკვანჩოს!

„— პეტია თოკაძე, რას არის რომ ტრაბახობ მანდ! მეორე სართულის საპირფარეშოში არ იწექი პირქვე მთელ იმ ამბავში?!

თოკაძემ უმალ მიიხედა და წამი არ დაუყოვნებია, პირდაპირ მიახალა: — ცოლისდის გაუპატიურებაზე ზიხარ შენ, კოლია შილაკაძე, ვიცი მე! წადი ახლა, ჩამოიარე საკნები, უამბე ყველას ეგ და იმასაც ნუ დაივიწყებ, რაც არ დაგიმტკიცდა: სიდედრის გაუპატიურებაც რომ გინდოდა!

შილაკაძემ პირი დააღო, გახევდა.

თოკაძე თავის მრევლს მიუბრუნდა, კიდევ რაღაც ილაპარაკა და საავადმყოფოს კორპუსისაკენ გაემართა. ლაღად მიდიოდა, იმ შიშისა, ადრე რომ ჰქონდა, კვალიც აღარსად იყო. შილაკაძე ისევ ისე იდგა. შემიძლია, როგორც გნებავთ, ისეთი ფიცით დავიფიცო, რომ მას თოკაძის მიერ ინკრიმინირებული დანაშაული საერთოდ არ ჰქონდა გაგონილი, არამცთუ ჩადენილი. თოკაძის პასუხმა ჩვენზეც კი იმოდენა შთაბეჭდილება მოახდინა. ისეთი უტიფარი ტონით თქვა და იმდენად მოულოდნელი რამ, რომ კარგა ხანს დარეტიანებულებივით ვიყავით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

— დაუბეჭდავდნენ, აბა, რას იზამდნენ ნეტავი? მომაგონა დათა თუთაშხიამ თოკაძეზე ჩვენი ის ლაპარაკი, როცა კიბეს ქვევით მოვყვებოდით. შორიახლო კლასიონი იდგა, ისიც თოკაძის საბრალდებო სიტყვას ისმენდა. დაგვინახა, შემოგვიერთდა.

შილაკაძემ, როგორც იყო, შოკს თავი გაართვა, ჩვენკენ მობრუნდა, შემოგვხედა და გაწითლდა.

გეტყვი, თუ გინდა, კოლია შილაკაძევ, როგორ და რით გათავდება ეს ამბავი, მიმართა კლასიონ კვიმსაძემ თოკაძის მსხვერპლს. ჩვენც და შენც ციმბირში ამოგვძვრება სული. რევოლუცია გაიმარჯვებს. მაგ თოკაძე მწერალი ყოფილა, აგერ ახლა გავიგონე, მოგონებებს დაწერს. კაი რაც ხდება აქ, იმას თავისთვის მიითვისებს, ცუდი თუ მოხდება რამე, ჩვენ დაგვაბრალებს და დიდი კაცი გახდება. ნამეტანი დიდი“.

„დათა თუთაშხია“ (ციხის ბუნტი).

კოლექტიური თოკაძეები

ARANAIRI DIDI ZALISXMEVA DA GAMADIDEBELI SUSA AR SCHIRDEBA IMIS DANAXVAS, ROM ZARTULI POLITIKURI SPECTRI KOLECTIURI TOKAZEEBITA ARIS SAVSE DA MATSI GANSAKUTREBITA GAMORCHEVIAN ORIVE NACSLANGIS, MATTAN MITMASNILI, „RVEZELIDAN PATARA NATEXIS“ MOMLODINE POLITIKANEBI DA E.W. GAVLENIANI „ARASAMTAVROBO SECTORIS“ WARMOMADGENELEBI, ROMLEBICI NAC-TELEVIZIIS WYALOBITI MAZSIMALURAD APRCVEVENEN TOKAZISEULI BINZURI RITORIKAS, ROMELIC DIDI XANIA, UTIFROBIS SAZRVREBS GASCDA DA MISI SAXELI VERAFRITI VER MOVIFIZRE.

MagaliTisTvis **salome samadaSvili** im „ganckadebas“ SegaxsenebT, parlamentis pikeTirebis daSlis SemdeG rom gaakeTa — 1989 wlis 9 aprilis SemdeG asaTi darbeva ar minaxavsoo!!!

ar davicyebT sxva magaliTebis moyvanas, radganac msgavs „margalitebs“ yovelDeRe visimenT da isedac aWeWil nervebs isev viSlilT. samagiero, darwmunebiT SemiZlia vTqva, rom isini yvela kolekTiuri TokaZeebi arian da is sertifikaTebi, romlebiTac TavS iwonebenT, swoRed „TokaZeebis skolaSi“ warCinebuli swavlis daswrulebis SemdeG miiRebdi.

ara mxolod ganckadebebi, aramed mati „lidereebis“ saqcielic, „TokaZeebis skolis“ warCinebiT damTavrebis maCvenebelia. amasTan dakavSirebiT ori SekiTxva gamiCnda:

1. is, rac gr. vaSaZem policielis mimarT CaidinA, nebismier moqalaqeqs rom gaeqeTebina, rogor moiqceodnen iqve mdgomi policielebi? (kanoni, evrosabWos rezolucebi, implementacia, saxalxo damcvelis daskvnebi da sxva msgavsi „fin fam foebi“ ar maintereseb. vimeorebT — rogor moiqceodnen nebismier sxva moqalaqeqs, msgavsi saqciel rom CaedinA?

2. rogor moiqceodnen qarTveli „urnalistebi“, maTTvis saqarTvelos nebismier moqalaqeqs, gansakuTrebiT xelisufleba rom mimarTa, rogorc vinme gr. vaSaZem mimarTa?

asevE „saintereso“ e.w. „partizani mebaRis“ natia feraZis fb-postis romelmac 18 noemberi gaixsena da policiis saqcielit gaocda — **„gusin, rac patrulebs da rombokebs „y@eebo“ vuZaxe, lamis madlobebi mixadeq, „uxacravad qalbatonoTi“ merideebodnen. asaTi ra trenindi gaiares?“** — wers feraZe.

CemiaziT, raime SeqasebisTvis da komentarebis gakeTebaSi sruliad zedmeTia, gardaimisa, rom aSkarad CandaTvis provokaciebis mcdelobaa, rasac policia ar wamoego.

samwuxaro, CndebaTvis mesame, uxvaxe aRaxmaxeba, romelic policiis saqcielit aRfrTovanebis gadavlis SemdeG, aucilebelad unda daisvas — rasac niSnavs policiis mxridan kanonis aRsrulebaze uaris TqmaSi? kanonis, romelic policielze TavdadmisebeliT SesabamisI sanqciebs akisrebs da aZlevs Tu ara am naZiralebs e.w. „narusilovkas“ mati e.w. „cnobadobas“?

asevE moxda im SemTxvevaSi gacnobadebuli tipebis sruli lustracia, romlebic mudmivad sxvadasxvanaxulebis, maikoebis, iebisa Tu sxva maraZmatul „SoubebSi“ da TavianTi SoT-turebisa da pirveli orgazmis Sesaxebi siamaiT gvicyebian.

diax, SemTxvevaSi „gacnobadebuli“ tipebi, romlebic kisa vorobianinovis stilSi (kvciani saxiT da dabeRili lyebiT) dadiodnen da jurnalistebTan tanjuli „roJebiT“ „saubrobdnen“ — arc nacebs vemxrobi, arc ocnebas, magram parlamentis wiN, rogorc saqarTvelos moqalaqe isev vdgavar.

wesiT, ai iq unda „miumTo“ latentiurad nacuri mravalsaxdoma unkanali, magram vinaa patroni?

am yvelafris TavS da TavS kiaris is mocemulobaa, romelic bokervilebisa da am e.w. „samoqalaqo sektorisa“ miere, „demokratiuli prinCipebis“ damaxinjebulad gadmocemam daamkvidra.

aRada, mat daZlian kargad esmiT, rom saqarTveloSi aranairi „gaerTianebuli opozicia“ da „politikuri brZolis kulturaa“ ar arsebobs, magram gasdiT da aRmaxebebi.

julietovna rom juliETovnaa, imanac kiTqva am „gaerTianebul opozicias“ (fxuk, ra vqna, es 30 „politikuri daZlis“ gaerTianeba rom mesmis, magram mecinebaa) araferis maqnisebi arianO da rato „tenit“ am gaWirvebulebs — 5500 gulanTebuli qarTveli moiyvanesoo?

barem romanaa gocirideesac daabrale, tofinoSinisac moeriaO da tafiaa.

axla kiTqvaa serioziulad — xalxma kargad daiaxa, vis risi TavS aqvs. daiaxa da es brezneevis droindeli miwerebis bulaTeria aRar ZrS.

8000 kaci respublikis moedanze da 3000 gamvlelebi parlamentis wiN — sxvadasxva mocemulobaa.

gvitxarT, batonO da Tu iq, dasavlebSi ricxvebi 32 da 5500 rame xeirs gaZlevT da erT-or TeTris gaSnebiT, agar var. NDI Tu mkiTxavs, vin mamaaRli, mec davuTdasturebi, magram aq, saqarTveloSi, veravis moatyuebT.

xemS kolegebs minda, vTxovT: am kacnaxevriani „partiebis“ SarlatanebiT damfuZnebelebs nu uwodebenT „opozicias“ da mitumeTes „lidereebs“.



pirvel rigSi, es aris mtkvnari sicruve da meoreci — TviTonac iyenebenT da aTasgvar sisulelesi sCadian.

xelisufleba dipolomaturi korpusisa da saerTaSoriso institutebs saswrafod miawodos amomwuravi informacia am TaRlitebisa da mati „moRvawleobis“ Sesaxebi.

kidev erTxel vambob:

1. politikurma partiebma iusticiis saministroSi warmoadgenon wevrTa minimum 1000-kaciani da raionebis or mesamedSi adgilobrivi organizaciebis (minimum 5 wevriani) sia. winaRmdeg SemTxvevaSi, an SeuCerdeT registracia, an aerCevaTa arCevnebSi monawileobaa (wevrebis sia pirad nomritiT da xelmowerilT. sxvadasxva partiaSi „SemdeGrali“ adamiani daisaxos TaRlitobis mufliT).

2. gasaxdaroveqi bolo sami TviS gansmavlobaSi e.w. arasamTavrobo organizaciebis angariSebebze TanxebiS brunvis grafiki (donorebis mitiTebaa sawalebulo ar aris).

xelisufleba aucilebelad unda miiRos mkacri zomebi, radganac saxezE gvaqvs TaRlitebis jgufis miere saxelmwifo biujetis gaflangvis kidev erTi mcdelobaa da desTruqciuli RonisZiebebis farulI dafinansebaa.

ai, es da sxva rameniime teqnikuri sakiTxi unda gaxdes saxogadoebisagan moTxovnili aqciebis mTavari TemaaO. damerwmunebT, am zomebis gatarebis SemdeG qveyana bolos da bolos dadgebaa demokratiisa da normaluri politikuri cxovrebis gazaze.

rac SeexebaO dasavlebis reaqciasaO: miRebuli SedegebI unda ecnobos saelCoebs, saerTaSoriso institutebs da miewodos dasavluri mediasaSualebebs.

rocaa xmianebaO „mosazreba“ — xelisufleba yoveli 8 welinwadSi arCevnebis gzaT unda SeicvalOs da meore politikur daZlad is viTomda politikuri daZlaa moiazreba, romelsac evropasTan mxolod hitlerisa, musolinis, CaSuSeskus, voicexe iaruselskis idebi, xolo SesrulebisaO mxriv gestapoSa da StazisaO mewodebi akavSirebs, ori saocrad gulubrylvilo da legitimuri SekiTxvaO miCnda:

1. es „8 welinwadi“ matrosma jelezniakma dagibarat anderZad, Tu im „sertifikatebTan“ erTad gadmogecesi, romelic sadRac, gaurkvevel saswavlebelebSi 10-dRiani kursebze miiRebT? (matrosi jelezniaki — 1917 damfuZnebel krebazE iyo yaraulis uflosi da SuaRamis mitanebisas, anarqisti jelezniaki gamodis tribunazE da ambobs: „sxdoma wyDeba, yaraulI daiRala, datovebT sxdomata darbazi“. es aris daaalian istoriuli fraza.

2. rato arris „azri“, rom opozicia arian nacebandis warmomadgenelebi da matTan mitmasnili SnirebI, roca qveyanaSi arsebobs konstruqciuli opozicia?

mokledad rom vTqvaO, 17 noemberis TbilisiS centrSi opozicia orI gancalkevebuli saprotestoO aqciaa gamarTa. orivE proporciuli saarCevno sistemis TemazE! parlamentis wiN aqciis organizatori iyo 30-mdE poliTikuri partia, igivE gaerTianebuli opozicia, romelmac daaxlebiT 4500 mxardamWeri SeqriBa, xolo respublikis moedindan operamdE mswlebisa da aqciis organizatori iyo erTi partia — saqarTvelos patriotTa aliansi, romelis aqciazEc 8000 mxardamWeri aRiricxa. patriotTa aliansis aqciis saorganizacio jgufi aqciis dawyebamdE danomrilI witel barTebs arigebda. rogorac aqciis erT-erTma organizatorma gancaxada, 7500 barTis dariebis SemdeG, barTebis miRebis bevri mswrvelI saprotestoO furcelis gareSe darCa, anu furcelebi daaklebdaT. witelI barTebi aqciis mTavari laitmotivi iyo.

mogvianebiT, saqarTvelos sapatruloO policiis uflosma vaJa sirabiZem gancaxada, rom parlamentis wiN aqciaS 5500, xolo respublikis moedanze 1500 adamiani esWrebodaO. aq saintereso is kiaraa, sapatruloO policiis uflosma xalxis raodenobaO rato wumata gaerTianebul opozicias, aramed saintereso isaa, patriotTa aliansS rato moaklo mxardamWerebi.

es mxolod erTi, patara niuansia, magram saguliswmo: Tu xelisufleba SeqmnisS survaTs, rom qurCaSi arCdgas xalxis is raodenobaO, rata legitimurad iyos aRiarebuli mati moTxovnebi, maSin avtomatturad itovebs maJoritaruli sistemis bolomdE gatanis legitimur uflebas, amitomac „gaaqro“ sapatruloO policiis uflosma patriotTa aliansis 8000 mxardamWeri opeRidan respublikis moedndamdE.

asevE xelisufleba aWyobs, mxardamWerTa raodenobas umatebdes sruliad diskredituebul saakaSvil-bokerebs, vidre patriotTa aliansS, romelsac protestis sul sxva, konstruqciuli gza aqvs arCeuli. arc koconi, arc bokldmis dadebaO, arc policiis SeurackyofaO. samagiero, mzardi saprotestoO aqciebi.

SegaxsenebT, rom patriotTa aliansi parlamentis wiN gaerTianebuli opozicias mitinglebi da, saerTod, gaerTianebuli opozicias formatS ar SeuerTda. partiis lidereebis gancxadebiT, isini arian martO da damoukidebladO gansazRvravenen partiis taqtikasa da strategias, xolo sxva politikuri jgufebis gegmebze veranaiar pasuxismgebelobas ver aiRebenen.

* * *

werili minda, davasrulo erTi feisbuk-postiT, romelic faqtobrivad gvaCvenebs im reaLobas, rac SeiZleba, asaTi politformatis gabrZelebis SemTxvevaSi moxdes: wesiT xalxi unda mivides parlamentis wiN, gasklebdes is „gaerTianebuli opozicia“ da sanam im maZuTs, rac biujetidan aqvT aRebuli am wlebis gangmavlobaSi da rris aRebasac aPirebenen, TeTr-TeTr ar moitanen, „SmuTva“, SimSili da yvelaze mZime fizikuri samuSaoebi ar unda moaklo...

gia gabrichiZe

ნუ ვჭრით ტოტს, რომელზეც ვზივართ



ქვეყნის მმართველი ძალა — „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სიახლეებს, რეფორმებს, სამართლიანობას გვთავაზობს და ხშირად დანაპირებს ასრულებს კიდეც. ახლა არაა იმის დრო, მკითხველს მივაწოდოთ შვიდი წლის მანძილზე გაკეთებული საქმის ჩამონათვალი. ამჯერად ვისაუბროთ პარტიის მიერ დაშვებულ, ხელოვნურად გამოწვეულ შეცდომებზე, რომლებმაც ქვეყანაში ლამის გამოუსწორებელი ანარქია გამოიწვიოს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პარტიის ლიდერი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეჰპირდა მთელ საქართველოს, ქართველ ხალხს, ოპონენტებსაც, რომ მომავალი, 2020 წლის პარლამენტი პროპორციული სისტემით დაკომპლექტდებაო. ამ განცხადებამ ერთგვარად ჩააცხრო ოპოზიციის ვნებათაღელვა, მოსახლეობას კი იმედი გაუჩინა, რომ მომავალი არჩევნები ჩატარდება კანონის ფარგლებში და მშვიდ ვითარებაში, რომელიც აგრერიგად ენატრება მუდმივი დავა-პოლემიკით თავმობეზრებულ საქართველოს.

ჩემი აზრით, ბატონმა ბიძინამ, რომელსაც ეჭვი არ მეპარება, კეთილმოსურნე მიზანი ამოძრავებდა, სწორედ დასაწყისშივე დაუშვა შეცდომა. ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის კამპანიაზე, რომელშიც ხალხის მასა მონაწილეობს და არა რამდენიმე დეპუტატი, მას სწორედ ხალხისგან უნდა მიეღო რწმუნება და არა პარლამენტისგან. მხედველობაში მაქვს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებაზე მოსახლეობის საყოველთაო გამოკითხვა (თუ ზოგისთვის მაინცდამაინც უცხო სიტყვა უფრო გასაგებია, პლებისციტი, რეფერენდუმი).

პარლამენტის და მთავრობის ყველა გადაწყვეტილებაზე ოპოზიციის უარყოფით შეფასებებს, მათ აქცია-მანიფესტაციებს უკვე მივეჩვიეთ. რაღაცნაირად კანონიერი თუ ნაკლებად გამართლებული გადაწყვეტილებებით აღწევენ ურთიერთშეთანხმებას. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანების ჯგუფთან, რომელიც არჩევნების ჩატარების წესს არ ეკითხება არც ხელისუფლებას და არც ასარჩევ პირებს. იგი არჩევნებზე მოდის იმიტომ, რომ წესი მოსწონს და თავის არჩევანსაც სხვების ჩაურევლად აკეთებს.

მოვიქეცით პირიქით, არჩევნების წესზე შევეკითხეთ არა მის უდიდებულესობას — ხალხს, არამედ მათ, ვინც თავს კომფორტულად გრძნობს დეპუტატის სავარძელში. სწორედ ამან გამოიწვია ამომრჩეველთა მღელვარება, ლამის ამბოხი, რომელიც არც კი ვიცით, როგორ დასრულდება, თუ არ გამოვნახეთ საერთო სახალხო შეთანხმების ფორმები და მეთოდები.

ხალხის მხრიდან უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა თითქოს ბუნებრივია და ვერავის გავამტყუნებთ, თუმცა აქაც ამუშავდა ოპოზიციის მანქანა, რომელსაც სურს, ისარგებლოს საერთო სახალხო მღელვარებით და თავისი მიზნები აისრულოს. არც კი კითხულობენ, მათი მოთხოვნა თუ დაკმაყოფილდა, რამდენად გააჩნიათ შანსი, რომ პროპორციული არჩევნებით რაღაც სარგებელს მიიღებენ. მხედველობაში მყავს ის პარტიები, რომელთა მაჩვენებელი წინა არჩევნებშიც 1%-ზე ნაკლები იყო. ოპოზიცია ხალხის სულისკვეთებას უერთდება, მაგრამ ამასთანავე მოუწოდებს ისეთ საქციელზე, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და მოქმედ კანონებს. მხედველობაში მაქვს პარლამენტის პიკეტირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მოკლებულია, შეასრულოს თავისი ძირითადი მოვალეობა, თუნდაც ის, რაც აინტერესებთ მოპიკეტეებს და ოპოზიციას. თუ პარლამენტი არ შეიკრიბა, არ მოითათბირა, როგორღა შეძლებს იგი რაიმე ან მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას? ეს ხომ ჩვეულებრივი ძალადობა და ხელისუფლების ძალით შეცვლის მცდელობაა?

კიდევ ერთმა მოვლენამ გამოიწვია გაკვირვება. პროპორციული სისტემით არჩევნებს მხარი არ დაუჭირა 37-მა მაჟორიტარმა დეპუტატმა (დანარჩენ 3-ზე არაფერს ვამბობ). ყველა მაჟორიტარს აქვს თავისი სამოქმედო ტერიტორია და ყავს ამომრჩეველი. აქციებზე მისული ხალხის მასა, რომელთა სურვილს ეწინააღმდეგება საკუთარი დეპუტატის მოსაზრება, რატომ არ თხოვენ თავის რჩეულს პასუხს? მათ ხომ გადამწყვეტი როლი შეასრულეს საკითხის ჩავარდნაში, მათს შესახებ ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ მომიტინგეებს, ამიტომ ვთვლი, რომ უმეტესი გამოსვლა უმისამართოა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მთავრობის გადადგომა. მესმის, გვქონდეს პრეტენზია პარლამენტთან, მოვითხოვოთ რიგგარეშე არჩევნები (თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს), მაგრამ ამ შემთხვევაში მთავრობის როლი მეორეხარისხოვანია.

უმისამართოდ მიმაჩნია გამოსვლები ბათუმშიც. თვით ამ მოქმედებაში მიუღებელი არაფერია, მაგრამ აქციის გამართვა აჭარის მთავრობის შენობასთან და თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის გადაყენების მოთხოვნა აბსოლუტურად გაუმართლებულია. როგორც ცნობილია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არაა პარლამენტის წევრი, არ ესწრებოდა სხდომას, არც თავის გამოსვლებში მოუთხოვია მაჟორიტარული არჩევნების სისტემის დატოვება და ამ მიზეზით რატომ ვითხოვთ მის გადაყენებას, ჩემთვის გაუგებარია.

ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ ახლანდელი გამოსვლები ინერციით მომდინარეობს ძველი ტყუილ-მართლის გამო ბატონ გიორგი გახარიას და თორნიკე რიჟვაძის გადაყენების მოთხოვნებიდან.

ქართველ საზოგადოებრიობას ისინი აქტიურ ხელმძღვანელებად მიაჩნია, მათი მომავალი გეგმებიც იმედისმომცემია, როგორც ჩანს ოპოზიციას ასეთი მოღვაწეები ხელს არ აძლევს და სამწუხაროა, რომ ეს მიდგომა მომიტინგეებზეც გავრცელდა.

ქვეყნის მმართველ ძალას მოვუწოდებ, ჯერ კიდევ არ არის გვიან. თუ რაღაც მიზეზებით პარლამენტი ვერ დაუბრუნდება კანონის შეცვლას, გვრჩება ერთი საკმაოდ გამართლებული და კანონიერი გზა — მოსახლეობის მაქსიმალური ნაწილის გამოკითხვა და მიღებული შედეგების გამოყენება, რომელზეც უარს ვერავინ იტყვის.

სხვა უკეთესი გზა თუ არსებობს, ეს თავად ხელისუფლებას და ოპოზიციას უკეთ მოეხსენებათ. მთავარია, დაასრულონ ქვეყანაში გამეფებული ქაოსი და ხალხს შეუქმნან ნორმალური ცხოვრების პირობები.

რამაზ სურმანიძე,
მწერალი, ბათუმი.

6 მიზეზი, რის გამოც მოსახლეობა ოპოზიციასთან არ თანამშრომლობს

ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია იმ მიზეზებს განმატავს, თუ რატომ არ თანამშრომლობენ ხელისუფლებისადმი სრულიად ნეგატიურად განწყობილი ადამიანები ოპოზიციასთან.

„რა არის ანალიზის საკითხი? — ის, რომ ხელისუფლებისადმი სრულიად ნეგატიურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც მოსახლეობის უმეტესი ნაწილია, არ თანამშრომლობს ოპოზიციასთან. ვფიქრობ, მიზეზი რამდენიმეა:

1. სიახლის არ ქონა — ოპოზიციას არ შეუძლია შესთავაზოს მოსახლეობას ახალი ლიდერები, რაც პერსპექტივის განცდას არავის არ უქმნის. ის იშვიათი შემთხვევა კი, როდესაც ახალი და საინტერესო სახეები ჩნდებიან პოლიტიკაში, ისინი ვერ ქმნიან ინოვაციას და უწევთ ტრიალი არსებული ბრენდების სასარგებლოდ ან მთელი ენერგია ამ ბრენდებს შორის ლავირებაში მიდის.

2. გაცვეთილი ძირითადი აქტიორები — მოსახლეობის ერთი ნაწილი, როგორც ხელისუფლებისადმია ნეგატიურად განწყობილი, ასევე ნეგატიურადაა განწყობილი არსებული ოპოზიციური სპექტრისადმი. მათი ძირითადი აქტიორები კი ჩანს, კიდევ უფრო მიუღებელია, როგორც სრულიად არასასურველი სახელისუფლებო ლიდერები. ეს მეტ-ნაკლებობა კი ქმნის იძულებით პრიორიტეტებს ხელისუფლების სასარგებლოდ.

3. პოლიტიკაში წასვლის მოტივაცია — უმეტესწილად, პოლიტიკაში მიდიან ადამიანები საკუთარი ბიზნესის, აქტივების და მსგავსის დასაცავად, ასევე დღემდე რატომღაც განიხილება პოლიტიკა, როგორც შემოსავლის თუ კარიერის სწრაფი წყარო. მსგავსი სიყალბეები კი ამომრჩეველს თვალში მკაფიოდ ხვდება და ამომრჩევლის სკეპტიციზმი თუ ნდობის მანდატი უმცირესია.

4. პოზიტიური დღის წესრიგის არქონა — პოლიტიკურ ჯგუფებს თუ ლიდერებს არ შეუძლიათ პოზიტიური დღის წესრიგის შეთავაზება ამომრჩევლისათვის. გვაქვს ან ამჟამინდელი მოცემულობა ან ამომრჩევლის ცნობიერებისათვის ვერგაგებული კომუნიკაცია ან წარსული მოცემულობის შეთავაზება, რაზედაც ამომრჩევლის ძირითადმა ნაწილმა უარი თქვა.

პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან თავიანთი სტრატეგიის აქცენტები მხოლოდ ნეგატიურია, პოზიტიური პერსპექტივების შეთავაზება და ამომრჩევლის დაიმედება შეუძლებელი ხდება, რის გამოც, მსგავსი მოცემულობით სარგებლობს სახელისუფლებო დიქტატი და ძალაუფლების ჯგუფ(ებ)ი.

5. ამომრჩევლის ცნობიერება და კომპეტენცია — ეს ქმნის ამომრჩევლის ჩამოუყალიბებლობას, ამომრჩეველი ერთი მხრივ, ითვალისწინებს ნეგატიურ გამოცდილებას და ადვილად აღარ ენდობა პოლიტიკურ სუბიექტებს, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური სუბიექტების ამ უსახურ და გადაზელილ მასაში უჭირს საინტერესოს და სასურველის გამორჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველმა თითქოსდა ერთგვარად შეიქმნა თავდაცვის სივრცე პოლიტიკოსთა სიყალბისადმი, მაინც უჭირს პროცესების შეფასება კომპეტენციის სიმცირის გამო, ამავდროულად კი პოლიტიკური ჯგუფების პოპულისტური პროპაგანდა მაინც ახერხებს ამომრჩეველზე გავლენას.

6. ფინანსური რესურსების ეფექტი მცირე საზოგადოებაზე — ჩვენი ამომრჩევლის რაოდენობა არაა დიდი, ამ ფონზე გარკვეული სუბიექტების ფინანსები ამომრჩევლის ნაწილს მართვადს ხდის, ნაწილს კი — სკეპტიკურს და აპათიურს.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი საარჩევნო კოდექსი მცირე ჯგუფების მიერ გაკეთებულ არჩევანსაც აღიარებს, ნაცვლად საერთო სახალხო არჩევნებისა, მთლიანობაში არჩევნები, აქტივისტური და რიტუალური გამოდის და არა საერთო და ორგანული.

შესაბამისად, პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება, ხშირად მათი დამფინანსებლების მიერ გაღებული ფინანსური რესურსების შესაბამისია. მთელი ეს პროცესი კი ხიბლსაც უკარგავს არჩევნების იდეას. კიდევ სხვა არაერთი ფაქტორია, რომელიც ჩვენზე ზემოქმედებს და ხელისუფლების წინააღმდეგ მყოფი ამომრჩევლისა და არსებული პოლიტიკური სპექტრის შესაბამისობას და პარტნიორობას უშლის ხელს, ჯამში კი ხშირად ვიღებთ აპათიურ მოსახლეობას, აქტიურ მცირე ჯგუფებს და გადიქტატორებულ ხელისუფლებას ავტოკრატიის დიდი დოზით“, — აცხადებს არჩილ გამზარდია.

საიდან იწყება პოლიტიკური ქაოსი?!

საქართველოს პოლიტიკური ელიტა, ტრადიციულად ისევ უბრუნდება ნაცად გზას, რასაც ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა ჰქვია. ძალისმიერში არ იგულისხმება ძალოვანი სტრუქტურების გამოყენება ხელისუფალთა შესაცვლელად, თუმცა ვინ იცის — წინ საკმაო დროა.

ძალისმიერი ანუ სამხედროთა ჩართვა სახელმწიფოს მართვის საქმეში, ჩვენი ქვეყნისთვის უცხო არ არის. გვახსოვს, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხანმოკლე მმართველობას ვინ დაუსვა წერტილი. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროსაც ჰქონდა ადგილი ამგვარ ქმედებას. მაშინ ქვეყნის უშიშროების სამსახურის შეფს იგორ გიორგაძეს, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრეს და შეაჩერეს დაგეგმილი სამხედრო გადატრიალება. მთავარი შემოქმედი ქვეყნიდან გაიქცა, თანაშემოქმედი, „მხედრიონელთა“ თავკაცი ჯაბა იოსელიანი ციხეში გამოკეტეს.

ამ ორი არასასიამოვნო ეპიზოდის გახსენება სახელმწიფო სტრუქტურის მანკიერების სრულ შთაბეჭდილებას ქმნის, რაც ხელს უწყობს ქვეყნის არასტაბილურ განვითარებას. ძალისმიერი გზით ხელისუფლების დამხობის ამ ორი მაგალითის გარდა, არც სახალხო ჯანყის შედეგად ხელისუფლების სახლში გაშვების მაგალითები გვაკლია. სწორედ ასეთი ჯანყის გამოისობით დაემხო შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებები.

ამ მაგალითების გახსენებასა და რეანიმაციასთან გვაქვს საქმე ამჯერადაც. ისე, როგორც წინათ, კვლავ გადაიკეტა რუსთაველის გამზირი, გაიშალა კარვები, დაიწყო მიტინგები, პოლიტიკოსთა გამოსვლები, მოწოდებები, ლოზუნგები, უხვი დაპირებები და რაც მთავარია, ე.წ. პატრიოტული განცხადებები. „რევოლუციურ“ ატმოსფეროს საზოგადოებისთვის ცნობილი პოლიტიკოსები მართავენ — თითო-ოროლა ახალგაზრდასთან ერთად.

მასებში ძველი სახეები ჩანან, ისინი, ვინც გამსახურდიას დროიდან მოყოლებული ავსებენ პარლამენტის შენობის წინმდებარე სივრცეს. მათთან ერთად მათი შვილები დგანან, უკვე დავაჟკაცებულები — ისინი ხომ პატარაობიდან, მამებთან ერთად სტუმრობდნენ მიტინგებს. უყურებ 30 წლის ახალგაზრდობას, იმ პირველი მომიტინგეების შვილებს და თვალნათლივ ხედავ, რომ არაფერი შეცვლილა.

1991 წლის დეკემბრიდან დღემდე საკმაო დრო გავიდა. კარგად გვახსოვს საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის გორბაჩოვის სატელევიზიო გამოსვლა — გადადგომასთან და მსოფლიოში უდიდესი იმპერიის დაშლასთან დაკავშირებით. მაშინ, თბილისის ომში გართულებმა, არაჯეროვანი ყურადღება მივაქციეთ მოსკოვიდან მოვლენილ თავისუფლებას — ტყვიების ზუზუნმა შეგვიშალა ხელი.

შემდეგ იყო უცხოეთის ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ქვეყნისთვის, მისი ხალხისთვის ამ ისტორიულ მოვლენაშიც ვერ ჩავატანეთ გემო — სიცივემ, შიმშილმა, უშუქობამ, ყაჩაღობამ, ცენტრისა და რეგიონების სისხლიანმა დაპირისპირებამ შეგვიშალა ხელი.

დროებითი ხელისუფლების ორგანიზებით ჩატარებული უზენაესი საბჭოს არჩევნები, მთავრობის ჩამოყალიბება, ქაოტურად წარიმართა. ვაკეთებდით საქმეს, რომლის მსგავსი არასდროს გაგვიკეთებია. ქვეყანა გადაგვყავდა სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე, ყველასთვის უცნობ სისტემაზე — ბნელ ოთახში ხელის ფათურით, სპონტანურად, არცთუ იშვიათად გაუაზრებლად — დაფიქრებისთვის საჭირო დროის არარსებობის, უცოდინრობის გამო.

საქართველო იყო პირველი, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელმაც ფასადი კი არ შეუცვალა ქვეყნის მართვის სისტემას, არამედ ძირფესვიანად გადააბრუნა არსებული. დღეს ხშირად ისმება კითხვა — რა იქნებოდა, 9 აპრილი რომ არ ყოფილიყო, რომ არ ჩატარებულიყო საბჭოთა კავშირში პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რამაც მოიტანა ის, რაც მოიტანა?

ისტორიას ვარაუდებით ლაპარაკი არ უყვარს, თუმცა საზოგადოების გარკვეული, ინტელექტუალური ნაწილი, ამ ჭეშმარიტების გვერდის ავლით აცხადებს, ზემომოყვანილი მაგალითები არ იქნებოდა, ხალხს რომ პატრიარქის შეგონებისთვის დაეჯერებინა და არა ცეტი, უცოდინარი ე.წ. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისთვის.

საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრით, თავისუფლების, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი მოწინავე საბჭოთა საქართველო ამ ბრძოლის მსხვერპლად იძცა, რამაც დიდი დაღი დაასვა ძვეყნის შემდგომ ცხოვრებას. დამოუკიდებელი ძვეყნის შენების სტარტის დროს დაშვებულმა შეცდომებმა, თვით დამოუკიდებლობის, თავისუფლების მცნებას მიაყენა ზარალი და მძიმე ცხოვრებით გაწამებულ ხალხს ნოსტალგია გაუჩინა ძველის მიმართ.

არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, საბჭოეთიდან თავის დასახსნელ ბრძოლაში ისეთი დანაკლისი არ განუცდია, რამდენიც საქართველომ. ყველა დანარჩენს თავისუფლება ლანგარზე დადებული მიართვეს. საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღნიშნულს ეროვნული მოძრაობის სულსწრაფობას მიაწერს, რამაც საბჭოეთის ნანგრევებში მოგვაყოლა.

მას შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა — საკმაო დრო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ ცუდად დაწყებული „ახალი ცხოვრება“ დროდადრო ნეგატიურად გვახსენებს თავს — გაუთავებელი მიტინგებით, ჯანყის გზით ხელისუფლების ჩამოშორებით, ფსევდოპატრიოტული მოწოდებებით და ა. შ.

ჯანყით მოსული ყველა ხელისუფლება ჩოხასავით ირგებს კანონებს — ქვეყნის სათავეში ხანგრძლივად ყოფნისთვის. უმალ ეჩვევა „მაღლა“ ყოფნის სიკეთეებს, სწრაფი ტემპით ახერხებს პირადი ცხოვრების გაუმჯობესებას, კაპიტალის დაგროვებას, ოჯახის წევრების, ნათესავების დასაქმებას; აკეთებს იმას, რისთვისაც წინამორბედი დაამხო.

გადახედეთ ჩვენს უახლეს ისტორიას — განა ამასთან არ გვაქვს საქმე? მაინც რა ბაცილით არის გაჯერებული სამთავრობო კაბინეტები, რომ ასე სწრაფად ავიწყებს იქ შესულ, ყოფილ ოპოზიციას, ოპოზიციურ წარსულს და წინამორბედის მსგავსად ან უფრო უარყოფითად აქცევს მას.

სააკაშვილის პერიოდის კანონმდებელი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი შევარდნაძის დროინდელთან შედარებით უფრო ნამუსგარეცხილი, მომხვეჭელი, სასტიკი და საქვეყნო საქმის ფეხზედამკიდებელი აღმოჩნდა. ივანიშვილისა კი — სააკაშვილის დროინდელებთან შედარებით უფრო კეთილმოწყალეა, სტაბილურობასა და მშვიდობაზე ორიენტირებული, თუმღაცა, თვალნათელი დამადასტურებელი ამისა მილიონების მქონე პარლამენტარები მაინც ბლომად ჰყავს და ელიტური კორუფციაც მძლავრობს... არადა, ოპოზიციაში მყოფნი რა შემართებით ადანაშაულებდნენ მიშნაცების ხელისუფალთ კორუმპირებლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვაში?..

სუსტმა, მატყუარა ოპოზიციამ ვერ აიტანა კიდევ ოთხი წლით ქვეყნის ძუძუდან მოშორება. 7 წელიწადი ელოდა ის ხელისუფლებიდან „ოცნების“ წასვლას, „ოცნებას“ კი კიდევ უნდა ყოფნა — სახელმწიფო საქმეების გასაკეთებლად, ამომრჩევლისთვის დანაპირების შესასრულებლად.

7 წელი განა საკმარისი არ იყო დანაპირების შესასრულებლადო — უყვირის ოპოზიცია ანუ გუშინდელი ხელისუფლება, რომელსაც კარგად მოეხსენება ხალხის „ზრუნვის“ თემა.

იგრძნეს რა მოსალოდნელი პოლიტიკური ქარიშხალი მმართველი პარტიის წევრებმა და მასთან კოალიციაში მყოფი პარტიების წარმომადგენლებმა — სწრაფად იწყეს უმრავლესობიდან გასვლა. არც ერთ მათგანს პარტია, მით უმეტეს პარლამენტი (ერთის გარდა) არ დაუტოვებია. ისინი მისატმასნად, ახალ პარტიას ეძებენ.

საპარლამენტო კოალიციების არამდგრადობა საპარლამენტო ცხოვრების 30-წლიანმა გამოცდილებამ არაერთხელ დააფიქსირა. ახალი მოწვევის პარლამენტის მუშაობის დაწყებიდან ერთი ან ორი წლის განმავლობაში კოალიციები იშლება.

საქართველოს პარლამენტის ისტორიიდან, ამ თვალსაზრისით, „ოცნება“ ყველაზე სტაბილურია, რაც პარტიის ლიდერის მატერიალურ შესაძლებლობებსაც უკავშირდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან აქაც იჩინა თავი, ისე, როგორც პარლამენტის მუშაობის 4-წლიანი ციკლის ნაკლებეფექტიანობამ.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, 4-წლიანი საპარლამენტო ციკლი, ისეთი ჩამოუყალიბებელი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა — არაეფექტურია. ჩემი აზრით, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა მისი 2 წელიწადნახევრამდე შემცირება. გარდა ამისა, პარლამენტარის მრავალჯერ არჩევა მიუღებელია. მას უნდა ირჩევდნენ არაუმეტეს 2 ვადისა. დღეს კი რა გვაქვს — პროპორციული სიით გასული ზოგიერთი პარლამენტარი 1995 წლიდან არის პარლამენტში. ასეთთა შრომის ნაყოფიერება დაბალია და, რაც მთავარია, მათ თავი მოაბეზრეს ხალხს.

დარწმუნებული ვარ ამ წინადადებას არავინ გაითვალისწინებს, ვინაიდან ყველა პარტიას სურს პარლამენტში დიდხანს ყოფნა. რა გაეწყობა — პარლამენტი არის ერთადერთი „ქარხანა“, რომელიც დამაკმაყოფილებლად მუშაობს. თუ რა მნიშვნელობა აქვს დასაქმებას ამ დაუსაქმებელ ქვეყანაში, თან ესოდენ მსუყეს, შემოსავლიანს — მკითხველმა კარგად იცის...

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ესტონეთი რუსეთის ანექსიის წინააღმდეგ

ESTONETIS პარლამენტის სპიკერმა რუსეთი ქვეყნის ხუთი პროცენტის ანექსიაში დაადანაშაულა. ეს განცხადება ესტონეთის კონსერვატიული პარტია „ეკრეს“ წევრმა ჰენ პილუასმა გააკეთა. ესტონეთის საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა, რომ ესტონეთის ტერიტორიების ანექსია არაფრით განსხვავდება ყირიმის ანექსიისგან. ამასთან, პილუასი აღნიშნავს, რომ ესტონეთს რუსეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია, თუმცა სურს, რომ ეს ტერიტორიები ესტონეთს დაუბრუნდეს.

საქმე ეხება ე.წ. ტარტუს სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც 1920 წელს გაფორმდა. ამ შეთანხმების მიხედვით, ლენინგრადის ოლქის კინგისეპისა და სლანცის რაიონები, ასევე პეჩორის მხარე, რომელიც დღეს რუსეთს ეკუთვნის, ესტონეთის შემადგენლობაშია. რამდენიმე დღის წინ, რუსეთის საგარეო უწყებაში განაცხადეს, რომ ტარტუს შეთანხმება ძალადაკარგულია. როგორც ესტონეთის პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, ტარტუს შეთანხმების არაღიარება, ესტონეთის ტერიტორიული მთლიანობის არაღიარების ტოლფასია.

ესტონეთი რუსეთთან საზღვრის შესახებ შეთანხმების რატიფიცირებაზე უარს ამბობს, რადგან ესტონეთში პოლიტიკური ძალების ნაწილი ტარტუს შეთანხმებაში გაწერილ საზღვრებთან დაბრუნებას ითხოვს.

ზელენსკიმ ტიმოშენკო გააწბილა

უკრაინის პრეზიდენტის ვლადიმირ ზელენსკის განცხადებით, მასთან პარტია „ბატკივშინას“ ლიდერი იულია ტიმოშენკო მივიდა და თანამდებობებზე დასანიშნად თავისი კანდიდატურები შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო.

„ძალიან ძველი უკრაინული ტრადიციაა. ხუთ წელიწადში ერთხელ, იულია ვლადიმიროვნა ტიმოშენკო მოქმედი პრეზიდენტის ოპოზიციაში მიდის და ხალხზე ზრუნვის იმიტაციას ახდენს. მან მოიტანა თავისი ხალხის სია „ტკბილ“ ადგილებზე დასანიშნად. სანაცვლოდ კი, წლის განმავლობაში უმაღლეს რადაში პარტია „ხალხის მსახურთან“ ერთად ყველა კანონის მხარდაჭერის პირობა დადო. რა თქმა უნდა, ჩვენ უარი ვთქვით. გარიგებების ეპოქა სამუდამოდ დასრულდა. მაგრამ შეხედეთ, რა ლამაზია ახლა „ოპოზიცია“. იცით რატომ? იმიტომ, რომ ახლა მათ უბრალოდ აღარ აძლევენ ტკბილეულს“, — დაწერა ზელენსკიმ.

გიო ხუციშვილის სახელობის ქუჩა თბილისში



თბილისში, ვაკე-საბურთალოს ერთ-ერთ უსახელო ქუჩას მომღერალ გიო ხუციშვილის სახელი მიენიჭა. როგორც imedinews-ი სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, ვარსკვალავის სახელი ვაჟა-ფშაველას გამზირიდან, ყაზბეგის ქუჩის დამაკავშირებელ მონაკვეთს დაერქვა.

მომღერლის სახელობის ქუჩის გახსნა ოფიციალურად მომავალ კვირას, საკრებულოს წარმომადგენლებთან, ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად იგეგმება. მომღერალი და მსახიობი გიო ხუციშვილი 2018 წლის 11 ივნისს, 56 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას გარდაცვალებამდე ვარსკვლავიც გაუხსნეს.

ჭვანას ხეობა - სამოთხე ექსტრემალებისთვის



კლდეზე დაკიდული სასტუმრო (კაფსულა) ექსტრემალებისთვის, საფესტივალო სივრცე, ტურისტული ბილიკები, თავშესაფრები და გასართობი ატრაქციონები ბუნებაში — მცირე ჩამონათვალია იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომლის განხორციელებაც აჭარაში, ჭვანას ხეობაში იგეგმება. ხეობის ტურისტული განვითარების კონცეფცია, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მოამზადა ჭვანაში ტურისტული ზონის განვითარების გეგმას მოიცავს. გეგმის მიხედვით ძირითადი ტურისტული ბილიკი და ინფრასტრუქტურა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან წისქვილების სოფლამდე უნდა მოეწყოს.

ჭვანას ხეობა ბათუმიდან 58 კილომეტრში მდებარეობს. ის რეგიონში ფოლკლორითა და მუსიკალური ტრადიციებით გამორჩეული ადგილია, სადაც ტურისტებს გარდა ტურისტული ღირსშესანიშნაობების მონახულებისა, საშუალება აქვთ, ადგილობრივი კერძები, თაფლი და ხილი დააგემოვნონ. იქვეა სიმწვანეში ჩაფლული ძველი, ხის წისქვილები და სოფელი, რომელიც წისქვილების სოფლის სახელითაა ცნობილი. ხეობა მდიდარია ჩანჩქერებით, ისტორიულ-კულტურული ძეგლებითა და ტრადიციებით. ამ მხრივ გამორჩეული კი ხაბელაშვილების სამი საუკუნის ხის ხიდია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს. ხეობაშივე ფუნქციონირებს ფანდურების სახელოსნოც, სადაც მუსიკალური ხელსაწყოს შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

თბილისის მთავრობის მორიგი სხდომა

მერიამ 800-ზე მეტი ოჯახი გააბედნიერა!

დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გუშინ გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და პირველ რიგში, საოკუპაციო ძალების მიერ დაკავებულ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს მხარდაჭერა გამოუცხადა.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს მივაწვდინოთ ხმა მის უკანონო დაკავებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, ყველამ ვიცით, რომ როგორც ჟურნალისტი, ასევე ექიმი არის ხელშეუხებელი, რაც არ უნდა ცხელი წერტილი იყოს. ყველა სამსახური და შესაბამისი უწყება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე გათავისუფლდეს ის. თვითონ ვაჟა ექიმს რაც შეეხება, კარგად გრძნობს თავს. არანაირი პრობლემა არ აქვს, ფიზიკურად, ყველანაირად არის ნორმალურად, თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი სამსახურები ყველაფერს აკეთებენ, რომ ის რაც შეიძლება დროულად გათავისუფლდეს“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

ამასთან, დედაქალაქის მერი მომავალ კვირას კომპანია „ცენტრ პოინტის“ საქმესთან დაკავშირებით სამშენებლო კომპანიებს შეხვდება. მისი თქმით, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს დაზარალებულთა საინიციატივო ჯგუფთან მუშაობა და საკითხი იმ ეტაპზეა მისული, როდესაც სამშენებლო კომპანიების ჩართულობაა საჭირო.

„ეს პრობლემა 6 000 ოჯახს ეხება. ჩვენ მომავალ კვირას ვგეგმავთ შეხვედრას მშენებლებთან. გვსურს, წარმოგიდგინოთ ყველა ის პროექტი, რომელიც უნდა დასრულდეს. მივცეთ დაზარალებულებს შესაძლებლობა, რომ თავიანთი ფართები დაიბრუნონ, რაშიც მათ თანხები აქვთ გადახდილი. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ პროექტს ბოლომდე მივიყვანთ და ოჯახებს, რომლებიც წლების განმავლობაში გაურკვევლობაში იმყოფებიან, მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა, რომ დედაქალაქის მერია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს მრავალწლიანი პრობლემა მოგვარდეს. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი სამშენებლო კომპანია გამოგვეხმაურება. ჩვენი მხრიდან იქნება მაქსიმალური მხარდაჭერა, თანადგომა, რათა ეს პროექტები დროულად დასრულდეს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერიამ მოაგვარა კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებულების პრობლემაც და სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერია ლილოს ნაგავსაყრელზე გაზშემკრების მოწყობის პროექტირება-მშენებლობისთვის ტენდერს უახლოეს დღეებში გამოაცხადებს.

„როგორც გითხარით, არსებული ტერიტორია 2017 წელს დაიხურა. გარდა იმისა, რომ ქარიან ამინდში ნარჩენები გადაადგილდება და დიდ დისკომფორტს ქმნის, ასევე, არის უსიამოვნო სუნი, რადგან ნაგავსაყრელი გამოყოფს გაზს. შესაბამისად, ახლა ტენდერი ცხადდება გაზშემკრების მოწყობაზე. გაზი რაც გამოიყოფა, მოთავსებული იქნება ერთ კონკრეტულ ადგილზე. ტენდერი რამდენიმე დღეში გამოცხადდება. ეს იქნება დაახლოებით, ორწლიანი პროექტი და მასზე 50-60 მილიონი ლარი დაიხარჯება. „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელს რომეო მიქაუტაძეს აქვს ძალიან სერიოზული გამოწვევა ამ მიმართულებით და ვფიქრობ, ჩვენ ერთიანი ძალისხმევით თავს გავართმევთ გამოწვევას და პროექტს დროულად განვახორციელებთ. ის პრობლემა, რომელიც ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებს აწუხებთ, რაც შეიძლება მალე იქნება მოგვარებული“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

ამასთანავე, კახა კალაძემ ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს დაავალა, რომ კიდევ ერთ პროექტზე იმუშაოს. კერძოდ, გაზის შეკრების მოწყობის შემდეგ, მისი გადამუშავება და ელექტროენერგიის წარმოების დაწყება მოხდეს. ასევე, აღნიშნულ პროექტში ბიზნესსექტორი ჩაერთოს.

„ყველა განვითარებულ ქვეყანაში, როდესაც გაზის შეკრება ხდება, შემდეგ მის გადამუშავებას და ელექტროენერგიის წარმოებას ახდენენ. ვფიქრობ, ეს ბიზნესსექტორისთვის ძალიან საინტერესო იქნება და აქტიური კომუნიკაციით შეგვიძლია პროექტზე მუშაობა დავიწყოთ. მინდა ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს დავავალო, რომ ამ მიმართულებით ვიმუშაოთ. ჩავრთოთ ბიზნესსექტორი იმისთვის, რომ შეკრებილი გაზისგან ელექტროენერგიის წარმოება მოხდეს. ამას გამოიყენებს მთელი ქვეყანა, ჩვენი ქალაქი“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანს დაავალა, ახლადრეაბილიტირებულ კანდელაკის ქუჩაზე არსებული ვითარება შეისწავლოს და ქსელზე უკანონო დაერთების პრობლემა დროულად მოგვარდეს.

„ძალიან სამწუხაროა და მიჭირს, როდესაც ამ თემაზე ვსაუბრობ. როდესაც სამუშაოებს ვამთავრებთ, შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში, დაკვირვებას ვახორციელებთ ქსელზე, რომელიც მიწის ქვეშ არის განთავსებული. არსებობს სპეციალური მანქანა — რობოტი, რომელიც შედის მილში და პირდაპირ გვაწვდის ინფორმაციას, თუ რა მდგომარეობაა მილებში, რომელიც რამდენიმე თვის წინ გაკეთდა. კანდელაკის ქუჩაზე გამოვლინდა ორი კონკრეტული ადგილი, სადაც არის უკანონო დაერთება ყოველგვარი ნებართვის გარეშე და მილები, რომელიც რამდენიმე თვის წინ განთავსდა, დაზიანებულია. ეს რა თქმა უნდა, ძალიან მძიმეა. შეურაცხმყოფელია ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება შენი ქალაქის მიმართ“, — განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძის თქმით, მერიის შესაბამისი სამსახურები უახლოეს დღეებში კანდელაკის ქუჩის დაზიანებული მონაკვეთის მოწესრიგებას დაიწყებს.

„არ ვიცი, ეს ვის მიერ არის გაკეთებული, თუმცა რა თქმა უნდა, უახლოეს დღეებში დავიწყებთ ამ კონკრეტული ადგილის მოწესრიგებას და გამოვიკვლევთ, იმასაც, თუ ვინ დააზიანა! მილიონები იხარჯება იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი იყოს მოწესრიგებული, გამართული ინფრასტრუქტურით. ეს ქუჩა ყველასია და შესაბამისად, უფრო მეტი მოფრთხილება გვესაჭიროება ახლადგანხორციელებული პროექტების მიმართ. მინდა, ირაკლი ბენდელიანს დავავალო, რაც შეიძლება დროულად მოწესრიგდეს და მოგვარდეს ეს პრობლემა და პარალელურად გამოვლინდეს, ვის მიერ იქნა ჩადენილი ეს უმსგავსობა“, — აღნიშნა კახა კახა კალაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც თბილისის მერმა ისაუბრა, საცხოვრებელი ფართების დაკანონების თემაა, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

„800-ზე მეტი ოჯახი გავაბედნიერეთ ბინების დაკანონებით და არ ვჩერდებით, პროცესს ვაგრძელებთ. დღეს გვინდა, 26 ოჯახს გადავცეთ სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად საცხოვრებელი ფართები, სადაც ისინი წლების განმავლობაში ცხოვრობენ. ეს არის წყნეთში, ოქროყანაში, ჭიჭინაძის, ოცხელების და მშველიძის ქუჩებზე არსებული ფართები. წარმატება მინდა ვუსურვო ამ ადამიანებს და მივულოცო კიდევ ერთხელ“, — დასძინა დედაქალაქის მერმა.

◎ გამოიცა

მოგონებები გუშინდელზე

არსებობს ისტორიის ისეთი გაგება, რომელიც ზეპირ გადმოცემებს ემყარება, ამა თუ იმ ადამიანების მიერ ნანახ, გაგონილ, განცდილ, დამახსოვრებულ და შემდეგ, ასევე გავრცელებულ და გადმოცემულ ამბებს. სწორედ ასეთი ნაშრომია **ირაკლი ბოკუჩავას** ახალგამოცემული წიგნი **„ჩემი საბჭოთა წარსული“** (გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ. 2019 წ.). ის ავტორის მეხსიერებაში დალექილი ისტორიაა, ყოველგვარი წყაროს მიუთითებლად, თანაც შეულამაზებლად, როგორც მას ახსოვს.

რა თქმა უნდა, ბატონი ირაკლი ამ წიგნში ნახსენები ყველა ამბისა და მოვლენის მოწმე და მონაწილე არ არის, როგორც წერს, ზოგი რამ გადმოცემით იცის, ბევრის შესახებ წაუკითხავს.

აბა, მოვუსმინოთ ავტორის ერთ-ერთ მთავარ დასკვნას: **„სსრკ იყო საყოველთაო კორუფციის, იძულებითი ქურდებისა და იძულებითი დამნაშავეების ქვეყანა. ყველა ქურდობდა, ანუ ხელფასს ზემოთ „რაღაცას იმატებდა“ ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, რადგან ხელფასი არავის ჰყოფნიდა, ამიტომ, თითქმის ყველა მოქალაქე „დამნაშავე იყო“. „ქურდში“ თქვენი ჯიბიდან ფულის ამომცელელს კი არ ვგულისხმობ, ეს ქურდები „დიდად საპატივცემულო“ ჩინოსნები და თანამდებობის პირები იყვნენ, რომლებიც „სახელმწიფოს ჯიბიდან“ იპარავდნენ. ამას ეძახდნენ, რომ „ეს კაცი ფულს შოულობსო“, კი არ იპარავსო, სიტყვა „ქურდმა“ პოეტის თქმისა არ იყოს, „უარყოფითი დაჰკარგა ჟღერა“.**

წიგნში უფროსი თაობის ადამიანები ვერაფერს ახალს ვერ ნახავენ, მათ ხომ ავტორთან ერთად გამოიარეს XX საუკუნის მეორე ნახევარი და ერთად იყვნენ მოწმენი იმ უკეთურობისა, თუ როგორ გადაგვარდა საზოგადოება, როგორ განიცადა დევალვაცია ისედაც ყალბმა მარქსისტულ-კომუნისტურმა იდეოლოგიამ და თანდათან როგორ კარგავდა ის ხალხის თვალში ავტორიტეტს.

ბატონი ირაკლი ბოკუჩავა ამ წიგნის მკითხველად მეტწილად ახალგაზრდებს მოიაზრებს, მათთვის ხატავს იმ ქვეყნის სურათს, სადაც მათი მამა-პაპა იზრდებოდა. როდესაც ეს თაობა ქვეყანას მოევლინა, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, როგორც ამბობდნენ, სსრკ-ში სოციალიზმი უკვე აშენებული იყო და ისინი კომუნიზმის მშენებლებად უნდა გაზრდილიყვნენ, მაგრამ არათუ კომუნიზმი დარჩა აუშენებელი, უკვე აშენებული სოციალიზმიც კი წყალმა წაიღო.

წიგნში ძირითადად აღწერილია მოვლენები რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე 1991 წელს. გვახსენებს, თუ როგორ თანდათან მკვიდრდებოდა ცხოვრებაში „კომბინატორობა“, „ცეხავიკობა“, „მარცხენა პროდუქცია“ და „მარჯვენა ფული“, ნეპოტიზმი, უსაქონლო ოპერაციები, „წილში ჩაჯდომა“, „პატივისცემა“, გადამყიდველობის პროფესიად ქცევა, კიდევ ერთი ავტორიტეტული დასკვნა: სსრკ იყო სიცრუის, სპეკულანტებისა და ქურდების ქვეყანა. გვახსენებს, თუ როგორ მივედით ქართველები, ერთადერთი ხალხი იქამდე, რომ ფულს ვიხდით იმაში, ოღონდ ჩემმა შვილმა არ ისწავლოსო.

ამბები ქრონოლოგიურად არ არის დალაგებული, ავტორი წერს ისე, როგორც გაახსენდა. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს, თუ რა გარემოში იზრდებოდა მისი მამა-პაპის თაობა და რატომ არიან ისეთები, როგორებადაც რჩებიან მათ მახსოვრობაში. ერთი სიტყვით, ეს არის წიგნი ავტორის განვლილ ცხოვრებაზე, ამ სახელმწიფოს თანდათან დეგრადირებასა და ბოლოს, მის სულაც გაქრობაზე. მისი დაკვირვების შედეგად აღწერილია აგრეთვე რა პოზიტიური პროცესები მიმდინარებოდა იმ დროს საქართველოში.

წიგნი 20 თავისგან შედგება: **სტალინი და მისი მონათმფლობელური სოციალიზმი; ბერია; სტალინური სოციალიზმის მშენებლობის თავისებურებანი; || მსოფლიო ომის დასასრული; ხრუშჩოვის პერიოდი; ქურდებისა და დამნაშავეების ქვეყანა — ბრეჟნევის პეროდი; ბავშვობა და 9 მარტის ტრაგედია; სკოლა; „განვითარებული სოციალიზმის“ ანატომია; სტალინური სოციალიზმიდან — ქურდული სოციალიზმისკენ; მოსკოვში ცხოვრება; შევარდნაძის ეპოქა. პირველი პერიოდი; 1978 წლის 14 აპრილი; გორბაჩოვის ეპოქა; საქართველო — პატიაშვილის პერიოდში; 9 აპრილის ტრაგედია; ზვიადის პერიოდი...**

ასე უხვად იმიტომ ჩამოვთვალე თავების დასათაურებანი, რომ მკითხველისთვის თვალნათლივი იყოს, რაზეა წიგნში ლაპარაკი, რა უკუღმართობებს აანალიზებს, იძიებს იმ უკუღმართობების წარმოშობის მიზეზებს, რათა დასკვნას, რომ ექსპერიმენტულად აგებულმა ქვეყანამ — საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ ვერ გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს, რომელშიც მას არსებობამ მოუწია, ე.ი. რაღაც ვერ იყო ისე აწყობილი, რატომაც დაინგრა და დაიშალა. ავტორი სწორედ იმ მიზეზების ძიებაშია — რა იყო არასწორად ჩაფიქრებული და მერე განხორციელებული.

ახლა ორიოდ სიტყვა თვით ავტორზე: ირაკლი ბოკუჩავა ძალზე საინტერესო პიროვნებაა. განათლებით მათემატიკოსია, მათემატიკის აკადემიური დოქტორი, წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში. არის 25 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კოლეგებთან ერთად შეადგინა საქართველოში პირველი მათემატიკის ტესტების კრებული. ამასთან, ერთობ ფხიზლად ადევნებს თვალს საზოგადოებრივ ცხოვრებას: აქვეყნებს მწვავე პოლემიკურ სტატიებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე. ისე რომ, „ჩემი საბჭოთა წარსული“ „ცარიელ ადგილზე“ არ შობილა.

წიგნის ეს მოკრძალებული ანოტაცია (მას რეცენზიას ვერ დავარქმევ) მინდა, დავასრულო თვით ავტორის სიტყვებით, რომლითაც ამ საინტერესო, ორიგინალურ ნაშრომს ამთავრებს: **„ამ წიგნში გადმოცემული ჩემი მეხსიერებით აღდგენილი ისტორია და ანალიზი მხოლოდ ავტორის თვალსაზრისია და დაეთანხმება თუ არა მას მკითხველი, მისი ნებაა და სურვილი... მე სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ მავანს ჩემი ნააზრევი არ მოეჩვენოს სრულიად მართებულად. შესაძლოა, მას უფრო კომპეტენტური ანალიზიც ჰქონდეს. რა პრობლემაა: მე ჩემი ვთქვი, სხვამ თავისი თქვას. იქნებ, აზრთა შეჯერებით მაინც მივაგნოთ ყველამ ერთად ჭეშმარიტებას“.**

ალექსანდრე ავალიანი

თბილისის მე-20 საერთაშორისო კინოფესტივალი

პირველიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის მე-20 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართება. ფესტივალს გახსნის ბრიტანელი რეჟისორის ალფრედ ჰიჩკოკის ფილმი „შანტაჟი“, რომელსაც მუსიკალურ აკომპანიმენტს გაუწევს „ალტერ ორკესტრი“ მირიან ხუხუნაიშვილის ხელმძღვანელობით. ჩვენებას დაესწრება მუსიკის ავტორი, ბრიტანელი კომპოზიტორი ნილ ბრენდი. „შანტაჟი“ ნაწილია პროგრამისა „ბრიტანული სეზონი“, რომელიც ბრიტანეთის საბჭოსა და დიდი ბრიტანეთის საელჩოსთან თანამშრომლობით ტარდება. „ბრიტანული სეზონი“ მაყურებელს მისცემს საშუალებას, ნახოს როგორც კლასიკური, ისე უახლესი ბრიტანული ფილმები.

გარდა ამისა, ბრისტოლის კინოფესტივალთან და „უოთერშედ ბრისტოლთან“ თანამშრომლობის ფარგლებში თბილისის კინოფესტივალი წარმოგიდგენთ 90-წამიანი ფილმების კონკურსს „დეფიქთ“. კონკურსის მიზანია, აღმოაჩინოს ახალბედა რეჟისორები, რომლებიც ორიგინალობითა და მდიდარი წარმოსახვის უნარით გამოირჩევიან. კონკურსში გამარჯვებული ბრისტოლის კინოფესტივალზე გაემგზავრება.

წელს თბილისის კინოფესტივალი მხოლოდ ეროვნულ კონკურსს ატარებს. ჯილდოები გაიცემა შემდეგ კატეგორიებში: საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი და საუკეთესო დოკუმენტური ფილმი. კონკურსს შეაფასებს საერთაშორისო ჟიური: ულრიხ და ერიკა გრეგორები, პაბლო დე ვიტა, ნიკოლა სელი და ჰიზერ სტიუარტი.

წლევანდელ ფესტივალზე ასამდე ფილმი იქნება წარმოდგენილი სექციებში: „ევროპული კინოფორუმი“, „ამერიკები“, „ჰორიზონტები“, „რეჟისორი ფოკუსში“, „ქვეყანა ფოკუსში“, „ქართული პანორამა“, „აპოლო: კინომეხსიერება“ და „განსაკუთრებული კინოჩვენებები“.

კინოხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო „პრომეთე“ გადაეცემათ კინორეჟისორ კარლოს რეიგადასს და სცენარისტსა და რეჟისორს ირაკლი კვირიკაძეს.

საჩუქრად ქართული გალობის ანთოლოგია

პრინსტონის **უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობის ანთოლოგიის რვატომეული საჩუქრად გადაეცა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფოლკლორის ცენტრი ავრცელებს.**

პრინსტონის უნივერსიტეტს საჩუქარი ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ გადასცა, უნივერსიტეტს ასევე აჩუქეს „შენ ხარ ვენახის“ ნოტირებული მასალა და აუდიო ვერსიები.

უძველესი ქართული საგალობელი წიგნის სახით



სპეციალურად ფრანკფურტის ბაზრობისთვის გასულ წელს გამოიცა. რაც შეეხება გალობის ანთოლოგიის რვატომეულს, უნიკალურ გამოცემაში მე-19, მე-20 საუკუნეებში გამოცემული თუ ხელნაწერებში დაცული ქართული საგალობლებია თავმოყრილი.

საქართველოს სახელმწიფო ანსამბლი „ბასიანი“ აშშ-ში საშემოდგომო ტურნეს ფარგლებში იმყოფება. პრინსტონის უნივერსიტეტში შესრულდა საგალობლები ანთოლოგიიდან და „შენ ხარ ვენახის“ სხვადასხვა ვარიანტი.

„ბასიანის“ წევრებმა მასტერკლასიც გამართეს და სტუდენტებს რამდენიმე ქართული საგალობელი და ხალხური სიმღერა შეასწავლეს.

„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა...“

შოთა რუსთაველის **სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გალაკტიონის კვლევის ცენტრის ორგანიზებით გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნების პრეზენტაცია გაიმართა.**

„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“ — გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რეცეფცია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში (1910-2010) ქრესტომათიული ნაშრომის პირველი წიგნია.

ამასთან, გაიმართა წიგნის **„გალაკტიონოლოგია“** პრეზენტაცია, რომელიც მე-8 გამოცემაა და ეძღვნება **„არტისტული ყვავილების“** გამოცემიდან 100 წლისთავს. ზუსტად 100 წლის წინ, 1919 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნი **„თავის ქალა არტისტული ყვავილებით“,** რომელმაც ავტორს გენიალური პოეტის სახელი მოუტანა.

ჯანმრთელობა

მომაკვდინებელი ელექტრონული კვამლი

თამბაქოს მოხმარებასთან ბრძოლა ბოლო დროს თანდათანობით მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ბრძოლა ჩვენშიც საკმაოდ გააქტიურდა, უპირველეს ყოვლისა, თამბაქოს ნაწარმზე აქციზის მატებით (რაც, ავტომატურად, ფასს ზრდის), ასევე სიგარეტის კოლოფებზე ანტირეკლამისა და გამაფრთხილებელი წარწერების განთავსებით, ანდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის აკრძალვით გამოიხატება. ამის პარალელურად, უკვე რამდენიმე წელია, თამბაქოს თავგადაკლული მომხმარებლები, რომლებიც მასზე უარს ბოლომდე ვერ ამბობენ, თავის დანებების სურვილი კი დიდი აქვთ, ეგრეთ წოდებულ „ელექტრონული სიგარეტების“ მოწევაზე გადავიდნენ, რაც თავდაპირველად ექსპერტებსაც საკმაოდ უსაფრთხოდ ეჩვენებოდათ, თუმცა ბოლო ხანებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მძიმე შედეგით დასრულებული ინციდენტები ცხადყოფს, რომ ელექტრონული სიგარეტები, ანუ ვეიპინები არათუ მავნე, არამედ ჯანმრთელობისთვის უაღრესად სახიფათოა, რასაც ბევრი სპეციალისტი ვეიპინგის (ანუ ელექტრონული სიგარეტების მოხმარებას) კანონით აკრძალვის ზღვარზე აყენებს.

ვეინების მუშაობის პრინციპი სითხის გახურებასა და მისი ორთქლის შესუნთქვაზეა დაფუძნებული, ამდენად, ნიკოტინი არსად არ ქრება, რის გამოც **ვეიპერი** (ანუ ელექტრონული სიგარეტის მწეველი) კვლავაც მის მოხმარებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, ვეინების მწარმოებლები კვლავაც აცხადებენ, რომ ელექტრონული მოწყობილობები, ანუ **დევაისები** ჩვეულებრივ სიგარეტთან შედარებით, ნაკლებად საზიანოა. ამის არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ ჩვეულებრივ სიგარეტებში თამბაქოს დაწვისას ასობით კანცეროგენული ნივთიერება გამოიყოფა, რომელიც უშუალოდ მწეველის საყლაპავსა და ფილტვებზე ილექება, ვეიპინგის დროს კი ასეთი რამ არ ხდება.

თუმცა ყველაფერი ასე მარტივად როდია. საქმე ისაა, რომ მაღალ ტემპერატურაზე სითხის ინგრედიენტები თერმულად იშლება, წარმოშობილი აეროზოლი კი ასევე შეიცავს კანცეროგენებს, მათ შორის **ფორმადეჰიდსა** და **აკროლეინს**. მათი ოდენობა კი სავსებით საკმარისია ავადმყოფობის წარმოსაშვებად, რაც გულის უკმარისობით, პირღებინებით და სხვა სიმპტომებით გამოიხატება.

მედიკოსები კატეგორიულად აცხადებენ, რომ **ელექტრონული სიგარეტების მოხმარება მნიშვნელოვნად ზრდის ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული, ფილტვების კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს**.

გარდა ამისა, არსებობს სხვა საფრთხეებიც, კერძოდ, **იმისათვის, რომ სითხე „სწორად“ ორთქლდებოდეს, მასში სპეციალურ გამხსნელებს — გლიცერინს, E-ვიტამინის ზეთოვან ხსნარსა და სხვა დანამატებს ურევენ**. გახურებისას ეს ნივთიერებები ვითომ მთლიანად აეროზოლში უნდა გადადიოდეს, სინამდვილეში კი მათი ნაწილი წვეთების სახით პირდაპირ ფილტვებში ილექება, რაც. უაღრესად სახიფათოა, ვინაიდან მათ მიერ გამოწვეული ლიპოიდური პნევმონია შესაძლოა სიკვდილის მიზეზი გახდეს.

მაშ, რა გზას უნდა დაადგნენ თამბაქოს მწეველები, ვისაც ამ მავნე ჩვევისგან გათავისუფლება უნდათ? თუკი თქვენ საკუთარი ძალებით გსურთ წინ აღუდგეთ ნიკოტინზე დამოკიდებულებას, მაშინ, ექიმების რჩევაა, **პირველ ყოვლისა, თანდათანობით შეამციროთ ყოველდღიურად სიგარეტის ღერების რაოდენობა**.

უნდა გახსოვდეთ, რომ თამბაქოს მოწევაზე უარის თქმა ძნელია, თუმცა სავსებით შესაძლებელი.

საქართველოში გრიპის ვირუსი ჯერ არ გამოჩენილა



„დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში **პაატა იმნაძე** აცხადებს, რომ სახელმწიფომ უფრო სწრაფად მოახერხა გრიპის ვაქცინის მობილიზება, ვიდრე კერძო სექტორმა.

„მინდა, გითხრათ, რომ დღეისთვის სამოციათასამდე ადამიანი უკვე აცრილია, მაღალი რისკის ჯგუფები, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს.

ჩვენი ინფორმაციით, მომავალ კვირაში უკვე კომერციულ სექტორსაც ექნება ვაქცინები. ჯერ ვერ გეტყვით, როდის გამოცხადდება უფასო ვაქცინის დღე, რადგან ყველა რისკის ჯგუფი უნდა მოვიცვათ და ამის შემდეგ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ ამ ვაქცინებზე“, — განაცხადა პაატა იმნაძემ.

მისივე თქმით, გრიპის ვირუსი ქვეყანაში ჯერ არ ცირკულირებს.

„ბოლო ინფორმაცია ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ, არის გაციების ოთხი სხვადასხვა ვირუსი, რომელიც ცირკულირებს. ჯერჯერობით, გრიპის ვირუსი საქართველოში არ გამოჩენილა. არა მარტო საქართველოში, ევროპის ქვეყნებშიც არ გამოჩენილა. ასე ვთქვათ, გრიპის სეზონი ჯერჯერობით არ შესულა ძალაში. ამჟამად გრიპი არ არის, ეს არის გაციების გამომწვევი ვირუსები, რინოვირუსები, მეტაპნევმო ვირუსები, რესპირატორული ვირუსები. გაცილებით ნაკლებია ავადობა დღეისათვის, ვიდრე იყო შარშან ან შარშანწინ. ასე რომ, წყნარ სეზონს ველოდებით“, — განაცხადა პაატა იმნაძემ.

სურსათი, რომელსაც მაცივარი არ სჭირდება

თანამედროვე მაცივრების უმეტესობა სიდიდის მხრივ წარსულში არსებულ ხილ-ბოსტნეულის ბაზებს მოგვაგონებს, იმდენი სხვადასხვა სახეობის სურსათის დატევა შეიძლება თაროებზე. ექსპერტების განცხადებით, არის მთელი რიგი პროდუქტი, რომლის შენახვაც მაცივარში ნამდვილად არ შეიძლება. მათ რიცხვს მიეკუთვნება:

— ზეთი. ზეითუნის, მზესუმზირის, მდოგვის, ქოქოსისა და სხვა ზეთების დაბალ ტემპერატურაზე შენახვა საჭირო არ არის იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ყოველდღიურად მცირე რაოდენობით მოიხმართ და, ვთქვათ, ერთი ბოთლი დიდხანს გყოფნით. ამ შემთხვევაში მაცივარში შენახვა ზეთს ამძაღლებისგან მაინც ვერ დაიცავს და, კიდევ, მაცივარში შენახული ზეთი იმღვრევა და გემოს იცვლის;

— თაფლი. დაბალ ტემპერატურაზე თაფლი კრისტალდება, ხოლო თუ სუნიან პროდუქტთან ერთად მოათავსებთ, მისგან სუნს უმალ აიღებს. თაფლისთვის სიცივე საჭირო არ არის, რადგან ნატურალური პროდუქტი თავისთავად კონსერვანტია, ამიტომ მაცივრის გარეშეც დიდი ხნით შეინახება, ხოლო თუკი თაფლმა ობი მოიკიდა, მაშასადამე, ყალბია;

— სანელებლები. მაცივარში მათ მოთავსებას აზრი არა აქვს, რადგან მაცივრის გარეშეც არ გაფუჭდება და, ამასთანავე, დაბალ ტემპერატურაზე სანელებელი არომატსა და გემოს მალევე კარგავს;

— ყავა. არომატის შესანარჩუნებლად საჭიროა მისი ბნელ და გრილ ადგილას შენახვა, ოღონდ არა მაცივარში, რადგან გემო დაეკარგება;

— სიმინდის ბურბუშელა საუზმისთვის. მაცივარში ნამყოფი ბურბუშელა ისეთი ხრაშუნა აღარ იქნება, თანაც გვერდით მდებარე სურსათის გემოს აიყოლებს;

— რეჰანი. მაცივარში უმალ ჭკნება, ამიტომ შესანახად კონა ჩადგით წყლიან ჭიქაში;

— დასამწიფებელი ნაყოფი. მანგო, ავოკადო, ატამი, ქლიავი, გარგარი და სხვა კურკოვანები მაცივარში დიდი ხნის მანძილზე არ მწიფდება, თანაც შეიძლება, მაშინვე ლპობა დაიწყოს. ამიტომ მაცივარში მხოლოდ მწიფე ნაყოფი უნდა შეინახოთ;

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მაცივარში მოთავსებამდე ხილი არ უნდა გარეცხოთ და ზედაპირიდან დამცავი ფენა არ უნდა მოაცილოთ. ამით გაფუჭებას დააჩქარებთ.

— შოკოლადი. მაცივარში შენახულ შოკოლადის ფილას უმალ თეთრი კრისტალები უჩნდება, ჰერმეტულად შენახულს კი შეიძლება ობი გაუჩნდეს.

— პამიდორი. მაცივარში ბოსტნეული რბილდება და გემოს კარგავს, ამიტომ უკეთესია, თუ სათითაოდ ქაღალდში შეფუთავთ და ფანჯრის ქვეშ ყუთში შეინახავთ;

— კარტოფილი. უმჯობესია, მუყაოს ან ხის ყუთში შეინახოთ, სადაც ჰაერი ტრიალებს, მაცივარში კი ბოლქვები მალევე აყვავილდება. უფრო ცუდია, თუკი კარტოფილს პოლიეთილენის პარკით შეინახავთ.



გრიპის ახალი აცრა

მეცნიერებმა გრიპის უნივერსალური აცრის გამოცდა დაიწყეს.

მათი განცხადებით, თანამედროვე ვაქცინების დაბალი ეფექტიანობა იმითაა განპირობებული, რომ ისინი ვირუსების გარსის ცილებს შეიცავენ, რომლებიც მუტაციების დროს თავადაც იცვლებიან.

ახალი ვაქცინა გრიპის ვირუსულ ნაწილაკებს შეიცავს, რომლებიც მუტაციებს გაცილებით იშვიათად განიცდიან. ახალი ვაქცინის მოქმედების ვადა 2-4 წელი იქნება.

სასიამოვნოც, სასარგებლოც...

ველოსიპედით გასეირნება, თურმე სექსუალურ ცხოვრებას აუმჯობესებს.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ველოსიპედით რეგულარულად მოსეირნე ქალებს მოჭარბებული სექსუალური ლტოლვა უჩნდებათ, თანაც საშარდე სისტემის ინფექციური დაავადებებით უფრო იშვიათად ავადდებიან.

ამ დადებით შედეგს სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ ველოსიპედის რეგულარული ტარება თეძოების არეში სისხლის უძრაობას აუვნებელყოფს.

◎ ფეხბურთი

ქართული კონტრასტები

სეზონი ისევე დავასრულეთ, როგორც ევრო-2020-ის მთელი შესარჩევი ციკლი: ხორვატეთის ქალაქ პულაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან გამართულ ამხანაგურ მატჩში ბრძოლის იმიტაციას ვქმნიდით, ბევრს ვფაფხურობდით და, თითქოს, მრისხანე მეტოქეს ტოლ-სწორად ვუმკლავდებოდით, მაგრამ სათამაშო კლასში დიდი სხვაობის გამო მაინც განწირულნი ვიყავით.

აკი, ვერც მასპინძელთა მეკარის სასტარტო საჩუქარმა გვიშველა, რომელმაც პაპუნაშვილის ისე რა დარტყმის შემდეგ დაშვებული ბავშვური შეცდომით კურიოზული გოლი გაუშვა. მეტიც, მადლიერნი უნდა ვიყოთ, კაშიას ავტოგოლისა და პერიშიჩის ზუსტი თავურის შემდეგ მხოლოდ 1:2 რომ დავმარცხდით.

ისე, ზემოთ ბალკანელთა უმაღლესი საფეხბურთო ტიტულით მოხსენიება გადაჭარბებულადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან იმ გუნდიდან, რომელმაც შარშან რუსეთის სტადიონებზე ფურორი მოახდინა, ამჯერად შატალოზე იყვნენ მოდრიჩი და რაკიტიჩი (აღარაფერს ვამბობთ სხვებზე, მათ შორის – მანჯუკიჩზე, რომელმაც სანაკრებო კარიერა უკვე დაასრულა).

ასეა თუ ისე, „ჯვაროსნები“ ზამთრის არდადეგებზე ისევ ვლადიმირ ვაისმა გაისტუმრა და, სავარაუდოდ, გაისად, 26 მარტს ბელარუსთან ერთა ლიგის უმნიშვნელოვანეს ნახევარფინალურ პლეი-ოფში ის უთავკაცებს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

კი, მაგრამ – როგორ? საკითხავი, აი, ეს არის.

მწვრთნელს რომ თან იღბალიც უნდა ჰქონდეს, ჩვენი ქვეყნის 17-წლამდელთა დამრიგებელ გიორგი ჩიტაურის მაგალითიც კმარა, რომლის შეგირდებსაც კონტინენტის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სამ შეხვედრაში ერთი გოლიც კი არ გაუტანიათ, მაგრამ ელიტ-რაუნდის საგზური მაინც მოიპოვეს.

ეს სასწაული პორტუგალიის ქალაქ მანგუალდეში მოხდა, სადაც ოთხთა მინი ტურნირზე უკრაინასთან 0:2 წავაგეთ, ხოლო ლუზიტანიელებთან და ალბანელებთან ზავები გავაფორმეთ – 0:0.

უკრაინა – 7, პორტუგალია – 5, საქართველო – 2, ალბანეთი – 1 ქულა.

საბოლოოდ მხსნელად სწორედ აღნიშნული კვარტეტის ბატალიების ორგანიზატორი სახელმწიფოს თანატოლებთან აღებული ქულა მოგვევლინა, რადგან 13 ჯგუფიდან საუკეთესო მესამეადგილოსნები არა ყველასთან, არამედ წამყვან დუეტთან დამსახურებული მონაგრით განისაზღვრებოდა.

დავძენთ, რომ ანალოგიური ზღაპრული პრივილეგიით რუმინეთმა, ისრაელმა და ბელარუსმა ისარგებლეს, თვით ელიტ-რაუნდი კი 2020 წლის მარტში მოეწყობა.

ასეთი უნიკალური ისტორიის შემდეგ, მოდით, ჩვენებურთა შემადგენლობასაც გავეცნოთ: ხარატიშვილი, ზოსიაშვილი, ავალიანი, ხვადაგიანი, ჩხეტიანი, ო. მამაგეიშვილი (თურაზაშვილი), გვიშიანი, გაგნიძე (სალუქვაძე), აბუაშვილი, გ. მამაგეიშვილი, უბილავა.

სათადარიგოები: ასათიანი, თუთაშვილი, გოგოტიშვილი, ტატიშვილი, უგრეხელიძე, სიჭინავა, დუნდუა.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

პირადი რეკორდი

სანდრო მამუკელაშვილის „სეტონ ჰოლ პირატსმა“ NCAA-ს მორიგ მატჩში სტუმრად „სენტ ლუის ბილიკენსს“ დამაჯერებლად 83:66 სძლია, ახალგაზრდა ლეგიონერი კი 17 ქულით შეხვედრის ბომბარდირთა შორის იყო.

ქართველმა ფორვარდმა 9-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა და 3 პერსონალური ფოლი მიიღო.

მამუკელაშვილი შედეგიანობის მხრივ მხოლოდ თანაგუნდელ მაილს პაუელს ჩამორჩა, რომელმაც 26 ქულა ჩააგდო.

„სეტონ ჰოლს“ 3 მოგება და 1 მარცხი მოუგროვდა და ბიგ ისთის კონფერენციაში მეოთხე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებს, მომდევნო მატჩს კი შაბათს შინ „ფლორიდასთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ოლიმპიზმი

სადარბაზო ბარათი

იაპონიის სპორტის საბჭოს განცხადებით, 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების უმთავრესი სარბიელის – ეროვნული ოლიმპიური სტადიონის მშენებლობა დასრულებულია და იგი მზადაა ასპარეზობების მისაღებად.

არქიტექტორ კენგო კუმას პროექტით შემუშავებული 68-ათასიანი ტევადობის ნაგებობების შექმნა 1,4 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდა.

ახალი ეროვნული სტადიონი, რომლის მშენებლობაც 2016 წელს დაიწყო, აიგო 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების უმთავრესი სარბიელის ადგილზე. იგი თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალებს, აგრეთვე მძლეოსნობას და საფეხბურთო მატჩებს უმასპინძლებს.

სტადიონის გახსნა დაგეგმილია 21 დეკემბერს, ხოლო პირველი ოფიციალური შეჯიბრება (ფეხბურთში იმპერატორის თასის ფინალი) ჩატარდება 2020 წლის 1 იანვარს.

გეჟან დოლიძე



◎ რაგბი

გენერალური რეპეტიცია

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ 2020 წელს იტალიაში დაგეგმილი ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან და პირველ მაღალი დონის საკონტროლო მატჩს დეკემბრის დასაწყისში გამართავენ.

ნოემბრის ბოლოს საქართველოში სამხრეთ აფრიკის 19-წლამდელთა ნაკრები ჩამოვა, რომელიც უმცროს „ბორჯღალოსნებთან“ ერთად 19 წლამდელთა საერთაშორისო 2-მატჩიან სერიას ითამაშებს.

სერიის პირველი მატჩი 2 დეკემბერს – თბილისში, „შევარდენზე“, ხოლო მეორე 5 დეკემბერს „რუსთავი არენაზე“ გაიმართება. შეხვედრის დაწყების ზუსტ დროს მოგვიანებით გაცნობებთ.

„უმცროსმა ბოკემ“ ქართული ტურნესთვის 30-კაციანი შემადგენლობა უკვე დაასახელა და მათ შორის 6 ისეთი მორაგბეა, რომლებმაც წლევანდელ 20-წლამდელთა ჩემპიონატში ითამაშეს და მე-3 ადგილი დაიკავეს.

აღსანიშნავია, რომ უმცროსი „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ აფრიკელ თანატოლებს მოსამზადებელ პერიოდში შარშან და შარშანწინაც ეთამაშნენ, თუმცა, ორივე შემთხვევაში სტუმრად, ახლა კი ისინი თავად გვწვევიან.

უმცროსი „ბორჯღალოსნები“ სამხრეთ აფრიკასთან მატჩამდე „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე შეკრებაზე 22 ნოემბერს 42-კაციანი შემადგენლობით შევლენ. შეკრებაზე ყველა ის მორაგბე ვერ მოხვდა, რომლებიც გაფართოებულ შემადგენლობაში მოიაზრებიან და მათ შანსი მომდევნო შეხვედრებში მიეცემათ.

შეკრებაზე მყოფ მორაგბეთაგან 22 მორკინალი და 20 ხაზის მოთამაშეა. მორკინალებიდან 3 და ხაზის მოთამაშეებიდან ერთი მორაგბე ლეგიონერია, დანარჩენები კი ქართულ კლუბებში ირჯებიან.

გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი ზურაბ ამონაშვილი ამბობს, რომ შეკრებაზე ვერ ჩამოდის რამდენიმე ლეგიონერი. გარდა ამისა, გაფართოებული სიიდან შეკრების გარეთ კიდევ რამდენიმე მოთამაშე დარჩა და ისინი შანსს მომავალ შეხვედრებში მიიღებენ:

„მოთამაშეებს კლუბებთან ვალდებულებები აქვთ და რადგან სამხრეთ აფრიკასთან არაოფიციალური შეხვედრები გვაქვს, მათი გამოძახება ვერ მოხერხდა. მაგალითად, მიხეილ ალანია, რომელსაც 20-წლამდელთა ჩემპიონატზე თამაშის გამოცდილება აქვს და ვანო კარკაძე, რომელმაც ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიო თასზე ითამაშა, სამხრეთ აფრიკასთან ვერ დაგვეხმარებიან.

გარდა ამისა, გაფართოებული შემადგენლობიდან შეკრების მიღმა კიდევ რამდენიმე მოთამაშე დარჩა, თუმცა, ისინი შემდგომ ვარჯიშებში აუცილებლად შემოგვიერთდებიან. ეს ეხება 2001 წელს დაბადებულ მორაგბეებს, რომელთაც ასაკობრივ ნაკრებში თამაში 2021 წელსაც უწევთ. არაა გამორიცხული, რომელიმე ან რამდენიმე მათგანი შემდეგ თამაშებში დაგვემატოს ან სულაც მთავარ ტურნირზე გაემგზავროს. მათ არ დაუმთავრებიათ ნაკრებთან ურთიერთობა!

იმ 42 მორაგბეს, რომლებიც შეკრებაზე შევლენ, ვარჯიშებზე მოუწევთ საკუთარი უპირატესობის დამტკიცება და სამხრეთ აფრიკასთან სერიის მატჩებისთვის შემადგენლობაში მოსახვედრად ბრძოლა.

ეს ფესტივალი არაა, თავიდანვე გადაწყვეტილი რომ გვქონდეს ყველას თამაში. თამაშებამდე საწვრთნელი პროცესი გვექნება და შემადგენლობას მოთამაშეთა ფორმის მიხედვით შევარჩევთ, თუმცა, შევეცდებით, რაც შეიძლება მეტი მოთამაშე გავსინჯოთ“ – ამბობს ამონაშვილი.

2016 წლის შემდეგ უმცროსი „ბორჯღალოსნები“ 20-წლამდელთა 12-გუნდა მსოფლიო ჩემპიონატს ზედიზედ მეხუთედ ითამაშებენ და წელს პირველად ხდება, რომ ძლიერ მეტოქესთან ტესტ-მატჩები მზადების ასე ადრეულ ეტაპზე ექნებათ. ამ ფაქტს ამონაშვილი დადებითად აფასებს:

„რაც მეტი ასეთი თამაში გვექნება, მით უკეთესი ნაკრების მოსამზადებლად. მოგეხსენებათ, ამ მორაგბეთა უმეტესობა შიდა ჩემპიონატებში (დიდი 10, პირველი ლიგა) თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ დიდ

10-ში მრავლადაა სანახაობრივი და დაძაბული შეხვედრები, სათამაშო ტემპი ისეთი არაა, როგორიც მსოფლიოზე გველის. რაც მალე ნახავენ მოთამაშეები, სად უნდა მივიდეთ, რაც მალე გაივლიან ადაპტაციას ასეთ ტემპთან, მით უკეთესი.

მოედანზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ მოსაგებად გავალთ, მაგრამ ამ ეტაპზე გვირჩევნია, რთულ მეტოქეებთან დავინახოთ პრობლემები, წერტილები, სადაც უფრო მეტი გვაქვს სამუშაო. ამ ფორმაციის ნაკრებს ერთად ჯერ არ უთამაშია და საინტერესო იქნება მოთამაშეების რეალური წნეხის პირობებში გამოცდა. მორაგბეები ნახავენ, თუ რასთან ექნებათ საქმე მსოფლიოზე და მწვრთნელებიც დავინახავთ, თუ რა შედეგი მოაქვს ჩვენ მიერ აქამდე გაწეულ სამუშაოს“.

სამხრეთ აფრიკასთან ორმატჩიანი სერიის შემდეგ, უმცროსი „ბორჯღალოსნები“ დაისვენებენ და მომდევნო შეკრებაზე იანვარში შევლენ.

შეკრებაზე შედიან
შერკინება

პირველი ხაზი: ლუკა ახვლედიანი (არმაზი, 1), ნუგზარ სომხიშვილი (არმია, 1), გიორგი ჭანია (ლელო-სარასენსი, 1); საბა კურატაშვილი (არმაზი, 2), გუგა ტაბატაძე (ლელო-სარასენსი, 2), ლუკა პეტრიაშვილი (ხვამლი, 2), საბა ხონელიძე (აია, 2); მამუკა მსტოიანი (აკადემია, 3), ირაკლი მჭედლიძე (ლელო-სარასენსი, 3), ნიკა ნარმანია (არმაზი, 3);

მეორე ხაზი (4-5): ლუკა მაჭარაშვილი (ორიაკი), ვლადიმერ ჩაჩანიძე (ბეიონი), ვაჟა მაისურაძე (ყაზბეგი), გიორგი სინაურიძე (აია);

მესამე ხაზი: ლუკა ივანიშვილი (ჯიქი, 5-6), ბექა ყორიაული (ლელო-სარასენსი), თორნიკე ზაქარიაძე (ლელო-სარასენსი), იოანე იაშაღაშვილი (ბეიონი), საბა კურტანიძე (ხვამლი), ანდრო ღარიბაშვილი (ხარები), ლუკა კოხია (არმაზი), დავით ლომიძე (ხარები).

ხაზი

9: გიორგი მარგალიტაძე (ლელო-სარასენსი), გუგა მარგველაშვილი (აია), ლუკა მატკავა (არმაზი);

10: სანდრო მარგიანი (აკადემია), სერგი ჩხაიძე (იუნკერები);

12-13: გივი ცინცაძე (არმაზი), ირაკლი სიმსივე (აია), ლაშა ლომიძე (აია), დემურ თაფლაძე (ლელო-სარასენსი), ლუკა ხეხელაშვილი (ლელო-სარასენსი), ზაურ ლუტიძე (ხვამლი);

11-14: ზურაბ ქავთარაძე (ხარები), ლევან ბრაგვაძე (არმაზი), დავით გასვიანი (აია), თეიმურაზ კოხოძე (აია), ოთარ ლაშხი (ლელო-სარასენსი), ნიკოლოზ ძნელაძე (აია, 11-15), დავით გობეჯიშვილი (აია, 10-15);

15: გიორგი მიქანაძე (აკადემია), თეიმურაზ ჭიჭინაძე (ორიაკი, 11-15)

კობა კობახიძე

სასტუმრო ნაცისტების ყოფილ ბუნკერში...

ჰამბურგში, ნაცისტების ყოფილ ბუნკერში ძვირად ღირებულ სასტუმროს გააკეთებენ. ამის შესახებ ინფორმაციას დასავლური მედია ავრცელებს.

ესპანური კომპანიის გეგმის მიხედვით, სასტუმროს 136 ნომერი, ბარი, რესტორანი და სხვადასხვა გასართობი საშუალებები ექნება.

თუმცა სასტუმროს მთავარი სანახაობა მისი ფორმა იქნება. როგორც ცნობილია, ბუნკერის თავზე აშენებული სასტუმრო პირამიდის ფორმის, დაკიდებული ბაღებით გარშემორტყმული იქნება.

ბუნკერზე აშენებული სასტუმროს კიდევ ერთი ხიბლი პანორამული ხედები იქნება. სასტუმროსთან ერთად, ესპანური კომპანია ტერიტორიაზე ნაცისტური რეჟიმის და მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაღუპული ადამიანების პატივსაცემად მემორიალს გახსნის.



მემორიალის და სასტუმროს თავზე გაშენებული ბაღის მონახულება ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

სასტუმროს მშენებლობა 2021 წლის შუა პერიოდისთვის დასრულდება.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ბუნკერი 1942 წელს სულ რაღაც 300 დღეში ათასამდე იძულებითმა მუშამ ააშენა. ბუნკერის კედლების სისქე 3.5 მეტრს აღწევს. თავად შენობა კი 18 ათას ადამიანს იტევს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ბუნკერი არ დაენგრია, რადგან ამისთვის საჭირო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების დაზიანების მაღალი რისკი არსებობდა.

ნაცისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგ გარკვეული პერიოდი ბუნკერში ერთ-ერთი ტელევიზია, ასევე, რადიოსადგური იყო განთავსებული. ამჟამად ბუნკერი ხელოვნებას ემსახურება. შენობაში განთავსებულია ღამის კლუბი, მუსიკალური მაღაზია, ასევე, კრეატიული სივრცე მუსიკოსებისა და არტისტებისთვის.

...ხოლო ჰიტლერის სახლში პოლიციის განყოფილება

ადოლფ ჰიტლერის მშობლიურ სახლში პოლიციის განყოფილებას გახსნიან. ავსტრიის ქალაქ ბრაუნაუს ხელისუფლების გადაწყვეტილება ჰიტლერის სახლის პოპულარობას უკავშირდება.

როგორც ცნობილია, ქალაქში აღნიშნული სახლის დასათვალიერებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი ადამიანი ჩადიოდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი ადოლფ ჰიტლერის შეხედულებებს იზიარებდა.

გარდა ამისა, სახლის წინ ნაციონალ-სოციალიზმის მხარდამჭერები პერიოდულად მართავდნენ აქციებს, რაც ხშირ შემთხვევაში დაკავებებით სრულდებოდა.

ბრაუნაუს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ადოლფ ჰიტლერის სახლის პოლიციის განყოფილებად გადაკეთება ადგილს არასასურველი სტუმრებისგან დაიცავს.

ავსტრიის ქალაქ ბრაუნაუს ცენტრში, მეჩვიდმეტე საუკუნეში აშენებულ სამსართულიან სახლში 1889 წელს ადოლფ ჰიტლერი დაიბადა და ცხოვრების პირველი წლები გაატარა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღნიშნულ შენობაში ჯერ ბიბლიოთეკა, შემდეგ კი სკოლა იყო განთავსებული. 1972-2011 წლებში შენობაში კულტურული ცენტრი ფუნქციონირებდა. ამის შემდეგ რამდენიმე წელი კი შენობა უფუნქციოდ იყო, რადგან მისი მფლობელები ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ თანხმდებოდნენ.

ავსტრიის ხელისუფლებამ სახლის ნაციონალიზაციის გადაწყვეტილება მიიღო, რაც მოგვიანებით ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა. სახლის ყოფილ მფლობელებს კი კომპენსაციის სახით 810 ათასი ევრო გადაუხადეს.

ცეცხლის ახალი კერები მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს თემის წაჩხურუს უბანში, ტყის მასივში ცეცხლის ახალი კერები გაჩნდა. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ხანძარი საღამოს ლიკვიდირებული იყო, თუმცა გამთენიისას ამოვარდნილმა ქარმა ცეცხლის კერა ისევ გააჩინა.

რთული რელიეფური პირობების გამო, სახანძრო მანქანები ცეცხლის კერასთან მისვლას ვერ ახერხებენ. მარტვილისა და სენაკის 20 მეხანძრე-მაშველი და ადგილობრივები ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში გუშინ დილიდან არიან ჩართული. ხანძარი 15 ჰექტრამდე ფართობზეა გავრცელებული. იწვის ტყის ქვედა საფარი.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ხანძრის დასახლებულ ტერიტორიაზე გავრცელების საშიშროება არ არსებობს.

კომაში მყოფი 12 წლის ბავშვი სრულად გამოჯანმრთელდა

21 ოქტომბერს მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ სრულიად საქართველოს მოსახლეობა შეძრა. 12 წლის ბიჭი, რომელსაც თბილისში მატარებელი დაეჯახა, მძიმე მდგომარეობით გადაყვანილ იქნა იაშვილის საავადმყოფოში.

პაციენტი კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში კომატოზური მდგომარეობით მოთავსდა და 4 დღის განმავლობაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა.

5 ნოემბერს, 16-დღიანი მკურნალობის შემდეგ პაციენტი სრულიად ჯანმრთელი გაეწერა ბინაზე.

არდავიწყება

ჭეშმარიტი მამულიშვილის ნუგზარ ქავთარაძის ხსოვნას

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი ნუგზარ კონსტანტინეს ძე ქავთარაძე.

საქართველოს უახლოეს ისტორიაში მრავალ ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა შორის ნუგზარ ქავთარაძემ სამართლიანად დაიმკვიდრა ერუდირებული და პროფესიონალი იურისტის საპატიო სახელი.

წლების განმავლობაში იმყოფებოდა პარტიულ, სახელმწიფო, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მან ყველგან გამოიჩინა თავი როგორც პრინციპულმა, სამართლიანად მომთხოვნმა, მაგრამ თანამშრომელთა მიმართ გულისხმიერმა ხელმძღვანელმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობებზე, სადაც სუფთა ხელებითა და პროფესიული ოსტატობით დროულად გაიხსნა მძიმე კატეგორის საშიში დანაშაულები და ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი დამყარდა.

გამოჩენილი, თავდადებული შრომისთვის ნუგზარ ქავთარაძე დაჯილდოებული იყო სახელმწიფო ჯილდოთი — ღირსების ორდენით.

ნუგზარ ქავთარაძე იუსტიციის გენერალი და შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი გახლდათ.

წავიდა ჩვენგან ცხოვრების ქარცეცხლში გამოვლილი, ვალმოხდილი, ვაჟკაცური ბუნების უკეთილშობილესი ადამიანი, სახელოვანი წინაპრებისა და მშობლების საამაყო შვილი, სამაგალითო მეოჯახე და ქალბატონ ლალი გუჯაბიძესთან ერთად საამაყო შვილების — სალომეს, კონსტანტინესა და გიორგის აღმზრდელი მამა, შვილიშვილების მოსიყვარულე ბაბუა.

მისი ნათელი ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას და სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს კოლორიტი კაცის ნუგზარ ქავთარაძის სული.

ჯემალ გახოკიძე, კონსტანტინე გვარამია, ზურაბ ჩხაიძე, თემურ მურღულია, ვასილ დავითაია, შოთა ასათიანი, დათო ზეიკიძე, გერმანე თალაკვაძე, გრიშა შონია, ილია შონია, ჯუმბერ სურმავა, ზურაბ მაჩაიძე, გურამ ახალაია, ლევან კენჭაძე, ელგუჯა ჯამგურია, ალეკო მიქაბერიძე, ტიტე ლეფსაია, თორნიკე აფაძიძე, მალხაზ ბაძაღუა.

გარდაიცვალა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, იუსტიციის გენერალი

ნუგზარ ქავთარაძე

საქართველოს ქალთა საბჭო ვუსამძიმრებთ და ვიზიარებთ მეუღლის, ქალბატონ ლალი გუჯაბიძის ოჯახის მწუხარებას და თანავუგრძნობთ.

სააქციო საზოგადოება „საქსაშენმეცნიერების“ კოლექტივი დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ორგანიზაციის სწავლული მდივანი, შესანიშნავი პიროვნება და დიდებული მოქალაქე

ევგენი (ჟენია) კოშელნიკოვი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დალი იმნაიშვილი ოჯახით ღრმა გულისტკივილით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს ხაზარაძეების მრავალრიცხოვან ოჯახს ჭეშმარიტი ქართველის, გამორჩეული პიროვნების

გიორგი ხაზარაძის

გარდაცვალების გამო.

100 მილიონი წლის წინანდელი გიგანტური მოლუსკები ხარაგაულში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში გზის მშენებლობისას მსხვილმარცვლოვან გლაუკონიტიან ქვიშაქვებში ქვედა ცარცული პერიოდის (დაახლოებით 100-113 მილიონი წლის წინანდელი) ნამარხი თავფეხიანი მოლუსკები — ამონიტები აღმოაჩინეს.

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის მოწვევით, ნამარხების დასათვალიერებლად სოფელ ლაშეში ჩავიდნენ პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი თენგიზ მეშველიანი, გეოლოგია-პალეონტოლოგიის ფონდის მთავარი კურატორი რუსუდან ჩაგელიშვილი და ფონდის მეცნიერ-თანამშრომელი, გეოლოგი და პალეონტოლოგი ნიკა ვანიშვილი.

არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოჩენილი მოლუსკები ადგილზე დაათვალიერა. ქანების აღების შემდეგ კი დადგინდა, რომ ნამარხები ქვედა ცარცულ პერიოდს ეკუთვნის. ცარცული პერიოდი 135-137 მილიონი წლის წინათ დაიწყო და დაახლოებით 70 მლნ წელიწადს გრძელდებოდა.

ადრინდელი ცარცული ეპოქის ხმელეთის ფლორაში ჭარბობდა გვიმრანაირები და შიშველთესლიანები. გაჩნდა პირველი ფარულთესლიანები, რომლებიც ეპოქის ბოლოს გაბატონდნენ. ხერხემლიანთა ფაუნაში ყველაზე მეტად იყვნენ გავრცელებული ქვეწარმავლები (დინოზავრები და მფრინავი ხვლიკები); გაჩნდა პირველი პლაცენტიანი ძუძუმწოვრები. ზღვის უხერხემლოთა ფაუნაში ჭარბობდნენ მოლუსკები, განსაკუთრებით ამონიტები და ბელემნიტები. ცარცული პერიოდის ბოლოს ამოწყდა ამ პერიოდისათვის და, საერთოდ, მეზოზოური ერისათვის დამახასიათებელი ცხოველების რამდენიმე ჯგუფი — ამონიტები, ბელემნიტები, რუდისტები, დინოზავრები, მფრინავი ხვლიკები და სხვა ცხოველები.

გვიანდელ ცარცულ ეპოქაში დედამიწა ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრანსგრესიის (ხმელეთზე ზღვის თანდათანობითი შეჭრა) შედეგად ზღვამ მოიცვა აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, აფრიკის და ავსტრალიის ბაქნების ვრცელი ფართობები. ამ პერიოდში დედამიწის მრავალ ადგილას აღინიშნება მძლავრი ვულკანიზმი.

სწორედ ამ პერიოდისაა სოფელ ლაშეში აღმოჩენილი ამონიტები. მეცნიერთა განცხადებით, აღმოჩენის ადგილი კერძო საკუთრებაა და, სავარაუდოდ, ნგრევას ვეღარ გააგრძელებენ.

ხარაგაულის მერიის ცნობით, აღმოჩენილი ამონიტები ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში განთავსდება.





რამ იმსხვერპლა ტუტანჰამონი

ფარაონ ტუტანჰამონის დაღუპვის მიზეზი შესაძლოა, სისხლში ინფექციის შეჭრა გამხდარიყო. ამის შესახებ ეგვიპტელმა არქეოლოგმა ზაჰი ჰავასმა განაცხადა.

მისი თქმით, 19 წლის ფარაონს ინფექცია ფეხის მოტეხვის შემდეგ განუვითარდა და, სავარაუდოდ, 2 დღეში გარდაიცვალა. ფეხი კი მან ეტლიდან გადმოვარდნის შედეგად მოიტეხა.

ჰავასის მტკიცებით, ამ ჰიპოთეზას ახალი დნმ ანალიზებიც ამყარებს, რომლის შედეგებიც მომავალი წლისთვის გახდება ცნობილი.

დააკავეს „შავი არქეოლოგების“ ჯგუფი

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ე.წ. შავი არქეოლოგების გამოსავლენად მასშტაბური სპეცოპერაციის ფარგლებში 80 რეიდი ჩატარდა, მათ შორის იტალიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და სერბეთში. სპეცოპერაციის შედეგად 23 ადამიანი დააკავეს და 10 ათასი არქეოლოგიური ნიმუში ამოიღეს.

ჯგუფი სამხრეთ იტალიაში, კერძოდ კი კალაბრიაში უკანონო არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა — იქ არქეოლოგებს ჯერ კვლევები არ დაუწყიათ. დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ გაძარცვული ძეგლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5-4 საუკუნეებით თარიღდება.

იტალიის პოლიცია ჯგუფს 2017 წლიდან დრონების დახმარებით უთვალთვალებდა. მედიის ცნობით, ქსელი კარგად ორგანიზებული იყო და მთელი ევროპის მასშტაბით მუშაობდა. დანაშაულებრივი ჯგუფი უძველეს არტეფაქტებს ძვირად ყიდდა მსხვილ აუქციონთა სახლებში.

პოლიციის განცხადებით, რეიდების შედეგად ამოღებული ნივთების ღირებულება 2 მილიონ ევრომდეა.

ძაღლებმა ორსული ქალი მოკლეს

საფრანგეთის ჩრდილოეთით ტყეში ნადირობისთვის განკუთვნილ არეალში ორსული ქალი ძაღლებმა მოკლეს. 29 წლის ქალი თვითონაც ძაღლებს ასეირნებდა. მისი ცხედარი ვილერ-კორტეში იპოვეს.

გამოძიების ცნობით, ქალის ცხედარს ზედა და ქვედა კიდურებზე, ასევე სახეზე ძაღლის რამდენიმე ნაკბენი აქვს. ჯამში 93 ძაღლს ჩაუტარდა ტესტირება, რათა დადგინდეს, რომელმა მათგანმა მოკლა ის, მათ შორის ნიმუშები აიღეს ქალის ხუთივე ძაღლისგან.

გამოძიების ცნობით, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ქალმა ქმარს დაურეკა და უთხრა, რომ რამდენიმე ძაღლი მასზე თავდასხმას აპირებდა. მოგვიანებით ქმარმა ცოლი მკვდარი იპოვა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, იმ პერიოდში, ტყეში ირმებზე ნადირობდნენ.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9735; ევრო - 3.2917;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8465;
100 რუბლი - 4.6667; თურქული ლირა - 0.5203;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7519;
1000 სომხური დრამი - 6.2272

ამინდი 21 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+13
თბილისი:	ღამე	+5,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge